# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 17 ოქტომბერი 2008 №240 (3464) ფასი 50 თეთრი



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# კუპერმა საქართველო იპოვა






ბადრი კეთილაძის ფოტო

## პალერმოში თვითმფრინავი გაამზადეს: ლევან მჭედლიძეს წავიყვანთ და მოვუვლით!



ბადრი კეთილაძის ფოტო

## ბულგარელები ძალიან გავაბრაზეთ: პლამენ მარკოვს წყალი შეუდგა

# ტორტი, რომელსაც მარწყვი აკლდა




გაიდო კოოილმანის ფოტო

**ოთხი** თამაშიდან ორი ქულა, მით უმეტეს, როცა სამი საშინაო მატჩი მოლეული გაქვს, ძალიან ცოტაა და უკვე შეიძლება ითქვას, საქართველოს ნაკრებს სასწაული თუ გაიყვანს მსოფლიოს ჩემპიონატზე.

ახლა არასერიოზული იქნება გათვლა — თებერვალში ირლანდიას რომ მოვუგოთ, ირლანდიამ კიდევ იტალიასთან ორივე რომ წააგოს, ბულგარეთმა კვიპროსს რომ ვერ სძლიოს და ასეთები...

ვაღიაროთ, შანსი მცირეზე მცირეა, მაგრამ ოთხშაბათის მატჩის შემდეგ ცუდზე აღარ გვინდა ვილაპარაკოთ. ყოველთვის, როცა საქმეს იწყებ, მიზანს ისახავ — რა გსურს?

გულზე ხელი დავიდოთ, ექტორ რაულ კუპერის ჩამოსვლამდე ისეთი დალაგებული ნაკრები გვყავდა, რომ მუნდიალზე გასვლა მოგვეთხოვა?! ჯერ გამართულად თამაშის მონახვა იყო საჭირო, რასაც დრო სჭირდებოდა — გაცილებით დიდი დრო, ვიდრე ერთი თვე და ის ერთი თვეც აგრესორი რუსეთის ბომბების ქვეშ გაატარა საქართველომ, ამ პერიოდში ქვეყანას არ ეფეხბურთებოდა...

მართალია, კუპერმა სასექტემბრო მატჩების წინ ნაკრები ექვსი დღით ადრე დაიგულა და ავარჯიშა, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი დრო ყოვლად უცნობის გასაცნობად.

გვინდა ვთქვათ, რომ კუპერმა და საქართველომ ერთმანეთის გაცნობაში დაკარგეს ექვსი ქულა.

მაგრამ გავიდა დრო, არგენტინელმა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე იარა, ბევრი ნახა და თითქოს კვიპროსთან ყველაფერი ხონჩაზე იდო. უნდა მოგვეგო. სამწუხაროდ, საქართველომ ცუდი ფეხბურთი ითამაშა და ნამდვილად ვერ იტყოდი, მოსაგები მატჩი ჰქონდაო.

და ნახეთ, კუნძულელებთან ჩავარდნილი მატჩის შემდეგ სამადსამი დღეა მოსამზადებლად, რათა ბულგარეთს მედგრად დაუხვდე. ბევრ ცუდთან ერთად, საქართველოს ნაკრებს ყოველთვის უჭირდა მძიმე მდგომარეობიდან მალე გამოსვლა. ფსიქოლოგიურად იშლებოდა.

თუმცა კუპერი იმიტომაც არის ძლიერი სპეციალისტი, რომ ბიჭები საბრძოლველად მოამზადა და ნაცნობი ტაქტიკური სქემით, მაგრამ რამდენადმე განსხვავებული ელემენტებით ათამაშა გუნდი ბულგარეთთან.

გახსოვთ, საქართველოს ნაკრებს როდესმე ასეთი პრესინგი ეთამაშოს მეტოქის ნახევარზე?! ჭაღარა არგენტინელმა კარგად გაშიფრა ბულგარელთა თამაში, მათი მცველების სიტლანქე დაიჭირა და ხომ ნახეთ, ხშირ შემთხვევაში სტუმართა უკანა ხაზი უშფოთველ სიტუაციაშიც კი ბრინჯივით იბნეოდა. პრესინგი მარტივი გასაკეთებელი არ არის, კარგ ფიზიკურ მომზადებასთან ერთად, სწორი მოქმედება და სწორი სირბილი უნდა, ეს კი მშვენივრად გამოუვიდა ჩვენს ნაკრებს.

ბულგარელთა ნახევარდაცვა მათი მცველების მიერ დაკარგული ბურთების დევნაში დაიღალა. ამიტომაც სრულიად არაეფექტური იყო გამთამაშებელი სტილიან პეტროვი, ის შეტევებისთვის ვერ იცლიდა. ლუკა რაზმაძემ და ზურაბ მენთეშაშვილმა ცენტრში ძალიან ბევრი იმუშავეს, გაცილებით მეტი, ვიდრე ბულგარელთა ნახევარდაცვამ — წინ წასვლასაც უფრო ხშირად ბედავდნენ, ვიდრე მეტოქის თანაამპლუელები.

კუპერის პრესინგმა რომ „მერსედესის" ძრავასავით იმუშავა, დიდწილად ბექა გოცირიძისა და ალექსანდრე იაშვილის დამსახურებაა. რაც დრო გადიოდა, რაზმაძე-მენთეშაშვილს და ლევან კობიაშვილსაც სულ უფრო ნაკლებად უხდებოდათ ართმევაზე თამაში, რაკილა ბულგარელთა ვითომ-შეტევები მათ ზონამდე იშლებოდა.

ერთსაც შევამჩნევდით: ბულგარეთთან და კვიპროსთანაც ჩვენები უხეშობის ზღვარზე თამაშს არ ერიდებოდნენ. ნაკრები ახლა გაცილებით ხისტი და ულმობელია, ვიდრე ადრე იყო. ეს კუპერის სტილია, „ვალენსიაში" და „ინტერში" მისი მუშაობიდან გვახსენდება. თუმც სიხისტე ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია, ოღონდ ისეთი, რომელსაც ცოდნა უნდა და არა ზღვარგადასული, როცა გუნდს 10 კაცით ტოვებ და აღალატებ.

მაშ, რაღა დაგვაკლდა ბულგარეთთან მოგებამდე? გოლი! სხვა არაფერი! მარტო ერთ მატჩში იმდენი საგოლე მომენტი შევქმენით, მთელ ამ ციკლში აღებული რომ არ ყოფილა ჩვენს კართან.

საქართველოს ნაკრები ოთხშაბათ საღამოს საზეიმოდ გამზადებულ ლამაზ ტორტს ჰგავდა, რომელსაც მარწყვი აკლდა — ეს მარწყვი გეორგი პეტკოვის კარში უნდა გვეპოვა...

**ილია ნანოგაშვილი**

**გიორგი ლომაია** — ორმა მატჩმა [illegible] შიმარი [illegible] პრაქტიკის გარეშე ჩაიარა. ძლივს! ბულგარეთთან მხოლოდ ერთხელ შოუხდა სერიოზულად თამაშში ჩართვა, როცა სტანისლავ რანგელოვს დროულად ჩაუხტა ფეხებში და კუთხურზე გადააგდო ბურთი. კვიპროსთან კი პენალტი და პლუს ორი რთული ბურთი მოიგერია.

ლომაიას ნაკრებში ყოველთვის ეტყობოდა, კლუბში სათამაშო პრაქტიკა ჰქონდა თუ არა...

**უჩა ლობჟანიძე** — მასთან კონტაქტში მარტინ პეტროვი პირველივე ტაიმში დაშავდა და შესაცვლელი გახდა. ლობჟანიძე ფლანგელი მცველის კვალობაზე ნელია, მაგრამ შეტევებისთვისაც მოიცალა. აი, კვიპროსთან კი ცუდად ითამაშა, სწრაფ გარემარბ ალონეფტისს სისწრაფეშიც დაეჩაგვრინა და წინაც ვერ მიდიოდა.

**ლაშა სალუქვაძე** — ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური მცველია ნაკრებში. ბულგარეთთან უშეცდომოდ ითამაშა, კვიპროსთან კი რამდენჯერმე შეცდა და პენალტიც აიკიდა, თუმცა ის ეპიზოდი ლობჟანიძის ბრალი უფრო იყო.

**ალექსანდრე კვახაძე** — მარტივად, აუღელვებლად ითამაშა. თუ ბულგარელები ხანდახან წაგვეჩხვლეტდნენ და ბურთი მიუვიდოდა, ეგრევე იგერიებდა და ერთხელ ძალიან კარგი პასიც გაუკეთა ლუკა რაზმაძეს მარჯვენა ფლანგზე.

კვახაძემ დისკვალიფიცირებული ზურაბ ხიზანიშვილი შეცვალა, ვინაც კვიპროსთან არადამაჯერებელი გახლდათ და დაცვას ვერ ლიდერობდა.

**გიორგი შაშიაშვილი** — მარცხენა მცველად აყენებენ, თუმც მარჯვენა ფეხით თამაშობს, რაც მის შეტევებში ჩართვებს ეფექტს უკარგავს. კვიპროსთან გაუჭირდა, ბულგარეთთან კი ხშირად მიდიოდა წინ და დებიუტშივე შეეძლო თავით გატანა, მაგრამ ააცილა.

„შაშის" ფლანგზე ველიზარ დიმიტროვი აბსოლუტურად უსუსური იყო.

**ლუკა რაზმაძე** — კარგად ჩაჯდა ნაკრებში და შეგვიძლია, კუპერის აღმოჩენაც ვუწოდოთ. ართმევაზეც ნორმალურად თამაშობდა და მწვავე შეტევებშიც მიიღო მონაწილეობა. ორივე მატჩში სარგებლიანი იყო, განსაკუთრებით, კვიპროსთან პირველ ტაიმში.

**ზურაბ მენთეშაშვილი** — მუშა და ენერგიული, ოღონდ წინ პასი უჭირს. ნაკრებში შეუცვლელი კაცი გახდა. მისგან სტაბილურ თამაშს მივეჩვიეთ.

**ლევან კობიაშვილი** — ეს ის „კობი" არ იყო, რომელსაც ხშირად აკრიტიკებდნენ, ნაკრებში ისე კარგად ვერ თამაშობს, როგორც კლუბშიო. ლევანმა ორივე მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა, ნაკრების ნამდვილი ლიდერი და კაპიტანი იყო.

ჯგუფში პირველი ქულა სწორედ მისმა გოლმა მოგვიტანა.

**ალექსანდრე იაშვილი** — ბულგარეთთან მაგრად ითამაშა, ინდივიდუალური გარღვევებით ჩაგრავდა მცველებს და შავ სამუშაოსაც ასრულებდა. კვიპროსთან ვერ იყო ეფექტური. იაშვილი გაცილებით ძლიერია მეორე თავდამსხმელად, ვიდრე ფლანგელად.

**ბექა გოცირიძე** — საუკეთესო იყო ბულგარეთთან მატჩში. ნაკრებს რომ პრესინგი ხუთიანზე გამოუვიდა, ყველაზე მეტად მისი დამსახურებაა. თევზივით უსხლტებოდა მცველებს და ორჯერ გოლის გატანაც შეეძლო.

ბექამ ტრავმირებული ლევან ყენიას ნაცვლად ითამაშა. „ყენო" კი კვიპროსთან აქტიური და სარგებლიანი იყო, მაგრამ იმდენად არა, როგორც ნაკრების წინა მატჩებში.

**ლევან მჭედლიძე** — 32 წუთი ითამაშა ბულგარეთთან და რამდენჯერმე შეაწუხა მცველები. სამწუხაროდ, ხშირად ტრავმიანობს, არადა, ძალიან ყოჩაღია.

კვიპროსთან უფრო გამოჩნდა, რამდენად ნიჭიერია.

**დავით სირაძე** — ერთხელ აამუშავა თავისი იარაღი, თავურით ხარიხას მოარტყა. ცოტა არ იყოს, ეფექტი და ფანტაზია აკლია, თუმც სარგებლიანი ფორვარდია და ნაკრებში გაუტანია კიდეც გადამწყვეტი გოლები.

**გიორგი მერებაშვილი** — კუპერმა მარცხენა გარემარბად შეიყვანა შეცვლაზე და მისგან აშკარად მეტს ველოდით. ჩვეული „მატაობა" ვერ გამოუვიდა და ის სუპერმომენტიც, ბოლო წუთებზე რომ გააფუჭა, ნერვიულობის ბრალი გვგონია.

**დავით ოდიკაძე** — ბოლო 7-8 წუთი ითამაშა და ორჯერ სახიფათოდ ჩააწოდა საჯარიმოში, მეტი ვერაფერი მოასწრო.

ტიპიური მარჯვენა ნახევარმცველია, რომელიც 4-4-2 სქემაში უფრო კარგად ჩაჯდებოდა.

# მჭედლიძე პალერმომ მოიკითხა

**ბულგარეთთან** მატჩში დაშავებული ლევან მჭედლიძე თავს უკეთ გრძნობს.

ექიმებმა მჭედლიძეს მსუბუქი ტვინის შერყევა დაუდგინეს და ოთხდღიანი წოლითი რეჟიმი დაუნიშნეს. ახლა ლევანი სახლშია და ისვენებს.

გუშინ ლევანის ძმას, გიორგის გამოვკითხეთ ამბები: „ლევანი თავს კარგად გრძნობს. საშიში არაფერია, მაგრამ „პალერმომ" უკვე მოგვთხოვა სურათის გაგზავნა და ჩვენც ასე მოვიქეცით. იტალიურ კლუბს ყველაფერი მივაწოდეთ, ახლა ისინი ნახავენ, რა სჭირდება ლევანს და თუ მკურნალობას დაუნიშნავენ, კლუბის პრეზიდენტის თვითმფრინავი ჩარტერით ჩამოფრინდება და ლევანს იტალიაში წაიყვანენ. ისინი ძალიან დაინტერესებულები არიან ლევანის მდგომარეობით და ხშირად გვირეკავენ. ვნახოთ, ამ დღეებში პასუხსაც შეგვატყობინებენ".

ვნახოთ, რას იტყვიან სიცილიელი ექიმები...

**კახა შალამბერიძე**

**ინგლისი**
კონფერენსლიგა
ფორესტ გრინი 2:2 კემბრიჯი

**ირლანდია**
პირველი დივიზიონი
დანდალკი 2:1 ფინგალი

**რუმინეთი**
თასი
პეტროლული 2:3დ.დ. (2:2) რაპიდი

**ევროპის 2009 წლის 19-წლამდელთა ჩემპიონატი**
შესარჩევი ეტაპი
ავსტრია 1:1 შვედეთი
მაკედონია 1:0 ისლანდია
ფინეთი 0:2 პორტუგალია
ისრაელი 3:1 ბულგარეთი

**აშშ**
მეიჯორ ლიგა
ჰიუსტონი 2:1 სან ხოსე

# მარკოვს წყალი თბილისში შეუდგა
## ლეჩკოვს ბულგარეთი ელოდება

**ბულგარულმა** ვებგვერდმა focus-sport.net-მა გუშინწინდელ თბილისურ მატჩს ასეთი სათაური უძღვნა — „კავკასიელი ტყვეები".

ცნობილ რუსულ ფილმს ერთი სიტყვა მოაკლეს, აბა, მართლა ქალებს ხომ არ დაარქმევდნენ თავიანთ ფეხბურთელებს...

სათაური აშკარად მიანიშნებს, რომ ბალკანელი ჟურნალისტები კრიტიკას არ დააკლებდნენ პლამენ მარკოვის გუნდს.

მარკოვმა ბრაზი ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზეც არ დამალა, ფეხბურთელებში მოგების წყურვილი ვერ დავინახე და ვისაც ნაკრებში თამაში არ უნდა, ის დღეის აქეთ აღარც ითამაშებსო.

მაგრამ წყალი თვითონ მარკოვს უკვე შეუდგა და ბულგარული პრესის ცნობით, შესაძლოა, დღე-დღეზე დატოვოს პოსტი.

„ვაღიარებ, ფეხბურთელების მოტივირება ვერ შევძელი. ქვეყნის სახელით ასე უგულოდ ითამაშო, დანაშაულია. უფლება რომ მქონოდა, შესვენებაზე ცხრა შეცვლას გავაკეთებდი. არ ვარ დარწმუნებული, რომ ბულგარეთის ნაკრების თავკაცი გაზაფხულზეც მე ვიქნები" — ეს მარკოვის სიტყვებია.

ისე, კიდევ იოლად გადარჩა ბულგარელთა თავკაცი — რვა საგოლე მომენტიდან საქართველოს ერთიც რომ გაეტანა, მარკოვს, ვინძლო, თვითმფრინავშივე დაეწერა ნაკრებიდან წასვლაზე განცხადება.

*დიმიტარ ბერბატოვი:* „ძალიან სუსტად ვითამაშეთ. საქართველოს ნაკრებს არ გაუმართლა — სხვა ვერაფერს ვიტყვი. ყველაფერში დამნაშავე ბულგარეთის ჩემპიონატის დაბალი დონეა, თუმცა ეს სხვა თემაა. თუ ასე გავაგრძელეთ, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა ნამდვილად გაგვიჭირდება. თუმცა, იმედს არ ვკარგავ და შევეცდებით, უკეთ ვითამაშოთ".

ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავი თბილისში უჩინარი იყო და საინტერესოა, ვის აკრიტიკებს ასე ძალიან, როცა თვითონაც ერთი ბულგარული ლევის ფასი არაფერი გაუკეთებია.

*მარტინ პეტროვი:* „თამაში ვერ ავეწყო. საქართველო ძალიან მაღალ ტემპში და მწყობრად მოქმედებდა. მადლობა მეკარე გეორგი პეტკოვს, მან გადაგვარჩინა".

პეტროვი მაგრად აქებს პეტკოვს — ხუთი მკვდარი ბურთი მოიგერია და ქულა პირადად აიღოო.

„არ ვიცი, რატომ ვერ მოვიგეთ. შესაძლოა, ისე არ მოვინდომეთ, როგორც იტალიასთან. სტუმრად გაცილებით სუსტად ვთამაშობთ, ვიდრე საკუთარ მოედანზე. მომავალ შეხვედრამდე დრო გვაქვს და იმედია, ყველაფერს გამოვასწორებთ. როდესაც ასეთ თამაშს აჩვენებ, ძნელია, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრაზე იფიქრო. თუმცა ვნახოთ, მომავალში რა იქნება" — ეს თავად *გეორგი პეტკოვმა* თქვა.

*სტანისლავ ანგელოვმა* კი თქვა, სათქმელი რაღა დარჩა, ყველამ ნახა, რომ სასწაულად გაგვიმართლაო.

მცველი *ივან ივანოვიც* მეკარეს ემადლიერება: „შედეგზე დადებითს ვერ ვიტყვი, რადგან მოგებას ვგეგმავდით. მადლობელი ვარ გეორგი პეტკოვის — მან გვიხსნა".

ბულგარეთის ფეხბურთის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი *იორდან ლეჩკოვი* იტალიასთან მატჩის შემდეგაც აკრიტიკებდა მარკოვის ნაკრებს და თბილისური 0:0-ის შემდეგ ხომ...

„მეცოდება ბულგარული ფეხბურთი. საშინელ დღეში ვართ, ფეხბურთელებს თვალებში ცეცხლი არ ეტყობათ".

ზოგმა ბულგარულმა გამოცემამ ნაკრების მუნდიალზე გასვლის შანსებს თეორიული უწოდა, რისი იმედიღა უნდა გვქონდესო...

**ილია ნანობაშვილი**






# სასწრაფო თუ სახიფათო?
## მძღოლის ნომერია: ...

**გუშინწინ** საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ბულგარეთის ნაკრები ყველა კომპონენტში დაჯაბნა და თუ ვერ მოიგო, შეიძლება, მხოლოდ უიღბლობას დავაბრალოთ. ქართველმა ფეხბურთელებმა არგენტინელი ჰექტორ რაულ კუპერის დავალებები მშვენივრად შეასრულეს — ასეთი პრესინგით საქართველოს ნაკრებს ეთამაშოს, ნაღდად არ გვახსენდება. ვერც იმას იტყვის ვინმე, რომ ბულგარეთს სუსტი ნაკრები ჰყავს. არა, ბატონებო, უბრალოდ, საქართველო ბულგარეთთან ძალიან მობილური და მომართული იყო.

კუპერის შეგირდები მრავალფეროვნად უტევდნენ, მეტოქეს გასაქანს არ აძლევდნენ.

თუ კვიპროსის მატჩისას შეტევაში ჩართული ჩვენი განაპირა მცველები არ შეგვინიშნავს, ბულგარეთთან სხვაგვარად იყო. თუნდაც იმის გახსენება რად ღირს, როცა გიორგი შაშიაშვილმა თავით მეკარეს დაასწრო და ბურთმა ძალიან ახლო ჩაუარა ცარიელ კარს.

ახლა თავში ერთი აზრი გვიტრიალებს და კუპერმაც ეს თქვა ნამატჩევს — ყველაზე მეტად ის მადარდებს, ფეხბურთელებს არ დაავიწყდეთ, რაც ამ შეკრებაზე გავაკეთეთ და მათგან როგორ თამაშსაც მოვითხოვო.

მართლაც, ეს არის მთავარი...

არ შეგვიძლია, არ შევეხოთ მატჩის საორგანიზაციო საკითხსაც. ერთადერთი, რამაც გუშინწინ შეგვაშფოთა, იყო ის, რომ ლევან მჭედლიძეს მეტოქის იდაყვი მოხვდა და ცუდად გახდა.

რამდენიმე წუთი ვერ მოხერხდა სასწრაფო დახმარების მანქანის ფეხბურთელამდე მოყვანა, არადა, აშკარად ჩანდა, მჭედლიძე ძალიან ცუდად გრძნობდა თავს.

ლამის მთელი სტადიონი იშვერდა ხელს სასწრაფო დახმარების მანქანისკენ, მაგრამ ვერაფრით გააგონეს მძღოლს.

გასაგებია, ასეთ ყიჟინაში ძნელია, ხმა მიაწვდინო, მაგრამ ხომ არსებობს მობილური, ან რაცია?!

რატომ ვხდით ძნელად გასაკეთებელს იმას, რისი გაკეთებაც ძალიან მარტივად შეიძლება?!

ყველაზე ცუდი და აღმაშფოთებელი ისაა, რომ, რაც გუშინწინ „ეროვნულზე" მოხდა, ოთხი დღის წინ კვიპროსთან მატჩზეც ვნახეთ, როცა კვიპროსელი ფეხბურთელი გახდა საექიმო და ვერც მაშინ დაეხმარნენ დროულად — იქამდე მანქანა საერთოდ ვერ მიიყვანეს.

ისე მოხდა, რომ სტუმარი საკაცით გაიყვანეს გვირაბიდან და იქიდან წაიყვანეს საავადმყოფოში — ღუდუშაურის კლინიკაში მას ორი ნეკნის მოტეხილობა დაუდგინეს.

ამის შემხედვარეს, თავში არავის მოუვიდა, მომდევნო მატჩისთვის სასწრაფო დახმარების მძღოლისთვის ტელეფონის ნომერი გამოერთმია და საჭიროების შემთხვევაში გამოეყენებინა.

როცა საქმე ადამიანის სიცოცხლეს ეხება, მეტი პასუხისმგებლობაა საჭირო. ამ ორ შემთხვევაში ღმერთმა დაგვიფარა და მომავალში მაინც გამოვიჩინოთ სიფხიზლე!

**ნუკრი ლოლაძე**

# ბულგარეთი მაგრად დავჩაგრეთ!



საქართველო — ბულგარეთის გუშინწინდელი მატჩი ვინც ნახა, დაგვეთანხმება, რომ ერთ-ერთი საუკეთესო ბექა გოცირიძე იყო. ტანმორჩილმა ბიჭმა გააწამა ბულგარელები და სტუმრებს უამრავი თავსატეხი გაუჩინა. ოდნავ იღბალიც რომ ყოფილიყო, მოგებაც დაგვრჩებოდა, მაგრამ იმ დღეს ბულგარელთა კარში ბურთმა შესვლა არ ინება.

ბექა გოცირიძესთან საუბარი, რა თქმა უნდა, ბულგარეთთან მატჩით დავიწყეთ...

— გულდასაწყვეტია, რომ მოგება ვერ შევძელით, არადა, რამდენიმე კარგი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. ვფიქრობ, ბულგარეთი მაგრად დავჩაგრეთ, რასაც ბევრი არ ელოდა.

**— მართლაც მოულოდნელია კვიპროსის მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების ასეთი პროგრესი...**

— ფეხბურთია და ხდება. არ წაგვივიდა კვიპროსთან, მაგრამ, საბედნიეროდ, ბულგარეთთან შევძელით ხარისხიანი ფეხბურთის თამაში. მინდა გითხრათ, რომ ამაში გულშემატკივრების დიდი წვლილიცაა — არ მიგვატოვეს კვიპროსის თამაშის შემდეგ და მათი მადლიერები ვართ.

**— მაინც როგორ ფიქრობ, რა დაგვაკლდა გამარჯვებამდე?**

— ჩემი აზრით, იმ დღეს ფორტუნა არ იყო ჩვენს მხარეზე, თორემ ბულგარეთს აქედან ქულის წაღება ნაღდად არ ეკუთვნოდა. უბრალოდ, არა და არ შევიდა ბურთი კარში.

**— მატჩის შემდეგ რა გითხრათ ჰექტორ რაულ კუპერმა?**

— თამაშით კმაყოფილი იყო, ყველას მადლობა გვითხრა. ახლა სანაკრებო თამაშები კარგა ხანს აღარ გვაქვს და აბა, თქვენ იცით, კლუბებში თავი არ დაზოგოთ და მაგრად მოემზადეთო.

**— რეალურად რომ შევხედოთ, ჯგუფში რომელი ადგილისთვის შეგვიძლია ბრძოლა?**

— ჩვენ ყველა თამაშზე მხოლოდ მოსაგებად უნდა გავიდეთ, დაუმარცხებელი მეტოქე არ არსებობს. ახლა მთავარია, კონცენტრაცია შევინარჩუნოთ.

**ნუკრი ლოლაძე**

# ჩვენი მეტოქეები


ალბერტო აკვილანი (№10) დუბლით გამოირჩა

## ლიპიმ პოცომდე დათვალა

**იტალია 2:1 ჩერნოგორია**

1:0 აკვილანი (8), 1:1 ვუჩინიჩი (19), 2:1 აკვილანი (28)
იტალია: ამელია, ძამბროტა, ფ. კანავარო, კიელინი, დოსენა (ბონერა 59), გატუზო, დე როსი, აკვილანი (პეროტა 66), პეპე, დი ნატალე (კვალიარელა 76), ჯილარდინო
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
ჩერნოგორია: პოლეკშიჩი, პავიჩევიჩი, ტანასიევიჩი, ბატაკი, იოვანოვიჩი, დრინჩიჩი, ცვეროტიჩი (ნოვაკოვიჩი 89), ვუკჩევიჩი, იოვეტიჩი, ბოშკოვიჩი (ვ. ბოზოვიჩი 81), ვუჩინიჩი (დემიანოვიჩი 90)
მწვრთნელი: ზორან ფილიპოვიჩი
გაფრთხილება: გატუზო, ამელია, ვუჩინიჩი, იოვანოვიჩი, ტანასიევიჩი
მსაჯი: პ. პროენსა (პორტუგალია)
20 162 მაყურებელი

**იტალიის** ნაკრებმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა და ჯგუფში ლიდერობა გაიმყარა. მარჩელო ლიპიმ ბულგარელებთან ნათამაშებ შემადგენლობაში ერთი ცვლილება განახორციელა — რიკარდო მონტოლივოს ალბერტო აკვილანი ჩაანაცვლა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დიდი მწვრთნელია: ჩერნოგორიას ორივე გოლი აკვილანმა გაუტანა.

მატჩი დაძაბული და თვალსასეირო გამოდგა. გუნდებმა ლაღად იბურთავეს და სახიფათო მომენტები ორივე კართან ბლომად შეიქმნა.

„სკუადრა აძურა“ თავიდანვე შეტევაზე გადავიდა და მე-8 წუთზე დაწინაურდა კიდეც — პეპე მარჯვენა ფრთიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში და კარშიც მოახერხა დარტყმა, პოლეშკიჩმა მოგერიება შეძლო, მაგრამ დამატებაზე აკვილანმა ივარგა და — 1:0.

გოლის შემდეგ მასპინძლები ოდნავ მოეშვნენ და დაისაჯნენ კიდეც. ჩერნოგორიელთა ლიდერმა მირკო ვუჩინიჩმა ცენტრიდან წაიღო ბურთი. მას ჯორჯო კიელინი მისდევდა, თუმც ვერაფერი მოუხერხა და „რომას“ თავდამსხმელმა აუღებელი დაურტყა მარკო ამელიას — 1:1.

იტალიამ ისევ შეუტია. ანტონიო დი ნატალეს დარტყმული მეკარემ მუშტებით მოიგერია. შორიდან სცადა გატანა აკვილანიმ, მაგრამ პოლეკშიჩი საიმედოდ დადგა.

მალე ჩერნოგორიამ მაინც გაუშვა — აკვილანიმ დოსენას ჩაწოდებულს მიწაზე დაუშვებლად ამოსცხო. გზად ბურთი ტანასიევიჩს შეეხო და ისე აღმოჩნდა ბადეში.

ზოგი წყარო ამ გოლს აკვილანს არ უთვლის — წერენ, ტანისიევიჩის ავტოგოლიაო. ასეა თუ ისე, ეს გოლი იტალიელთათვის გამარჯვებისა გამოდგა.

დარჩენილ დროში ვუჩინიჩსა და მის თანაგუნდელებს ცდა არ დაუკლიათ, თუმცა ხეირი ვერ ნახეს.

ნამატჩევს, რა თქმა უნდა, კმაყოფილი იყო ლიპი: „ბოლო ორ შეხვედრაში ჩემი ფეხბურთელების თამაშით მოხიბლული ვარ. ჩერნოგორიელები ძალიან ტექნიკურები არიან, ვფიქრობ, ისინი ბევრ თავსატეხს გაუჩენენ სხვა თანაჯგუფელებს. ჩვენ ახალ გუნდს ვაკეთებთ, რასაც დრო სჭირდება, თუმცა ეს წუწუნის საბაბს არ გვაძლევს“.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ლიპიმ იტალიელთა ძველი რეკორდი გაიმეორა — არწაგებული მატჩების რაოდენობით (30). ეს რეკორდი აქამდე ლეგენდარულ ვიტორიო პოცოს ეკუთვნოდა, რომელმაც იტალია 1934 და 1938 წლებში მსოფლიოს ჩემპიონი გახადა.

**ნუკრი ლოლაძე**

## რობი კინმა ირლანდია ფავორიტებში გააქანა


რობი კინი (მარცხნივ)

**ირლანდია 1:0 კვიპროსი**

1:0 კინი (5)
ირლანდია: გივენი, მაკშეინი, დანი, ოში, კილბეინი, მაკგიდი, ველანი, გიბსონი, დაფი, დოილი (ფოლანი 90), კინი
მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი
კვიპროსი: გეორგალიდისი, ილია, ხარალამბიდისი, ა. კონსტანტინუ, გარპოცისი, მაკრიდისი, მარაგკოსი (პანაგი 52), ლამბრუ (პაპატანასიუ 46), კრისტოფი, ოკასი, მ. კონსტანტინუ (იასუმი 79)
მწვრთნელი: ანგელოს ანასტასიადისი
გაფრთხილება: მაკგიდი, გივენი, ილია, ა. კონსტანტინუ
მსაჯი: ა. ტუდორი (რუმინეთი)
53 500 მაყურებელი

**შორს** გაიჭრა ირლანდია და ამ მომენტისთვის ჯგუფის თანაფავორიტია იტალიასთან ერთად. კვიპროსთან საშინაო მოგებამ ჯოვანი ტრაპატონის გუნდი ცხრილში მეორე ადგილზე აიყვანა.

მასპინძლებმა თავიანთი კაპიტანლიდერ-მეგოლის, რობი კინის მე-5 წუთზე გატანილი ეული გოლით იმარჯვეს — ინგლისური „ლივერპულის“ ფორვარდმა კევინ დოილის პასს თავური უთავაზა, რითაც 85-ე სანაკრებო მატჩში 35-ე ბურთი შეაგდო.

გოლი კინმა გაიტანა, თუმც მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დოილი აღიარეს.

თბილისში ქულააღებულ კვიპროსელებს გასათანაბრებლად ცდა არ დაუკლიათ, ერთხელ იოანის ოკასს აუღო ძნელი ბურთი შეი გივენმა, ერთხელაც კოსტას მაკრიდისმა ააცილა ახლო მანძილიდან. კუნძულელები განსაკუთრებით სახიფათონი იყვნენ პირველი ტაიმის შუაში, როცა გივენის ბაქანზე ბურთმა დიდხანს იბზრიალა და საბოლოოდ ვერავინ დაუმიზნა კარს.

მომენტები ირლანდიელებსაც ჰქონდათ, განსაკუთრებით ეიდენ მაკგიდის და დოილის წყალობით რომ იქმნებოდა, თუმც ტრაპატონის საწყისო მინიმალურმა ანგარიშმა დააკმაყოფილა.

ისე, წინა შესარჩევ ციკლში კვიპროსელებმა შავი დღე აყარეს ბრიტანელებს: დუბლინში 1:1 ითამაშეს, შინ კი 5:2 გაანადგურეს.

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 10 |
| ირლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| ბულგარეთი | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| ჩერნოგორია | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| საქართველო | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | 2 |
| კვიპროსი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |

**geo_geo_fan@hotmail.com**

## თურმე შეგძლებიათ

**MEZVRO:** სალამი!

მოკლედ, ნაკრებმა ორი განსხვავებული თამაში გვაჩვენა — პირველი წასაგები იყო და ფრე ვითამაშეთ, მეორე, პირიქით — ძალან არ გაგვიმართლა, ბულგარელებთან რომ ვერ მოვიგეთ და ეგეც ფრედ ვითამაშეთ. მოკლედ, გინდ კარგად გითამაშია, გინდ ცუდად: შედეგი მაინც ერთია, ეს ცოტა ხუმრობით...

ისე კი, რა ეთქმის უბრალო გულშემატკივარს — ნაკრებმა დიდებული ფეხბურთი აჩვენა. ყველაფერში დავჯაბნეთ მეტოქეს და ერთი რაც გვაკლდა, გოლი ვერა და ვერ შევაგდეთ.

ისე ეგეც არის, სწორედ ეგ „ერთი რამ“ წყვეტს ყველაფერს ფეხბურთში. ნაკრებმა, მიუხედავად ვერმოგებისა, ჩემი აზრით, ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა თავის ისტორიაში.

ყველა მოთამაშე მოწოდების სიმაღლეზე იდგა. ცენტრში მობურთალი ტრიო ისე ირჯებოდა, რომ დაცვას სამუშაო მოაკლო, ფლანგელი მცველებიც ბევრს აქტიურობდნენ წინ და გოცირიძე ხომ საერთოდ საუკეთესო იყო.

სასტარტო მოთამაშეთა ნახევარი ეროვნული ჩემპიონატიდან იყვნენ, რაც იმ კუთხითაა კარგი, რომ ჩანს, კაცი თუ მოინდომებს, ჩვენი ბედოვლათი ჩემპიონატიდანაც აქვს შანსი, ნაკრებში მოხვდეს და გარჯა დაუფასდეს. ეს კი დიდი სტიმული უნდა იყოს შიდა ჩემპიონატში მოთამაშეთათვის. მოინდომე და უყურადღებოდ არ დარჩები. ლუკა რაზმაძე ამის ერთ-ერთი კარგი მაგალითია.

მოკლედ, მადლობა ბიჭებს და კუპერს. იმედია, სტაბილურობას შეიძენს ნაკრები.

**PAZ52:** მივესალმები „სარბიელს“ და მის მკითხველებს. ამდენი წლის შემდეგ, პირველადაა, კმაყოფილი რომ ვტოვებ სტადიონს.

მინდა, ჩემი შეცდომა ვაღიარო, უცხოელი მწვრთნელის დანიშვნის წინააღმდეგი რომ ვიყავი. მწარე გამოცდილება გვქონდა, ეს მყვირალა ჰოლანდიელი, ეს ელეგანტური ყოფილი დიდი ფეხბურთელი და საშუალოზე სუსტი ფრანგი მწვრთნელი, თავის თავზე შეყვარებული გერმანელი. და აი, ამის შემდეგ გვეღირსა ნამდვილი პროფესიონალიც. რის საფუძველზე ვაკეთებ ასეთ დასკვნას? დააკვირდით, ყველა განვლილი თამაშის შემდეგ უკმაყოფილო ვიყავით თამაშით და შედეგით, განსაკუთრებით იმიტომ, რომ „მოწინააღმდეგე (ირლანდია, იტალია, კვიპროსი) არ იყო ფორმაში, ვერაფერ განსაკუთრებულს ვერ თამაშობდა“.

ჩემი აზრით კი, საქმე ესაა: ჩვენი ნაკრები არ აძლევდა მათ ამის საშუალებას. ანუ ჰექტორ რაულ კუპერის დამსახურებაა ყოველივე ეს.

რა თქმა უნდა, მისთვის უმოკლეს ვადაში შედეგის მიღწევა „შემქმნელი“ ფეხბურთით შეუძლებელი იქნებოდა. და მან, რაც მოასწრო, შეძლო გუნდისთვის სხვისი თამაშის ჩაშლის მეტ-ნაკლებად შესწავლა. დღეს კი ბულგარეთთან უკვე შეტევაც კარგი იყო! მერე რა, რომ გოლი არ გავიდა. მთავარია, პროგრესი სახეზეა. მთავარია, ბიჭებმა გული არ გაიტეხონ და ნამდვილად გამოვიყენოთ ეს ციკლი სასწავლებლად. ამ ტემპით თუ ვიარეთ წინ, შემდეგ ევროპის ჩემპიონატზეც მოვხვდებით და იქ ჯგუფიდანაც გავალთ.

მაშ, მივცეთ სრული მხარდაჭერა კუპერს და შედეგიც აუცილებლად იქნება.

„გამარჯვება, ბიჭებო!“

**PARTISAN777:** სალამი „სარბიელს“.

ვაა... ესენი თურმე ნიჭიერები, მაგრამ ზარმაცები ყოფილან. როგორც კი გააგორებდნენ ბურთს, მაშინვე აზრიანი თამაში და კომბინაციებიც გამოსდიოდათ. ერთი ეგაა, რომ შიგადაშიგ ეზარებოდათ და ისევ უაზრო ჩაგდებებზე გადადიოდნენ — ირბინოს იქ ცენტრფორვარდმა და ბურთი თუ დაიკარგა, ჩვენი კარისგან შორს მაინც იქნებაო.

კიდევ ერთი დადებითი მომენტი — მთლად უჯიგროები არ ყოფილან. უნერვიულიათ შაბათის ჩაგდებული მატჩის შემდეგ. ოთხშაბათის ნახევარი რომ მოენდომებინათ კვიპროსთან, შევჭამდით იმ საცოდავებს. არა მგონია, კვიპროსელთა დაცვა ბულგარეთისას სჯობდეს.

ბულგარელებთან მოგება შეგვეძლო და გულიც დამწყდა 0:0-ზე. თუმცა, აბსოლუტურად მართალი თქვა მატჩის კომენტატორმა — გოლის ვერგატანის მხოლოდ უიღბლობაზე დაბრალება არ შეიძლება. აშკარად, საშემსრულებლო კომპონენტმა დაგვალალატა.

ისე, ამათ ასეთი ჯიგრით და მონდომებით ითამაშონ და სანაკრებო მღელვარებაც გვერდზე დარჩება და გოლებიც იქნება.

მოკლედ, გვირაბის ბოლოს რაღაცა გამოჩნდა. თურმე, როცა გვინდა, შეგვძლებია საშუალო დონის ნაკრებებთან თამაში.



# მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

# ააცილეს და სტვენით გააცილეს

I ჯგუფი

**მალტა 0:1 უნგრეთი**

0:1 ტორგელე (23)
მალტა: ჰაბერი, კარუანა (ბრიფა 35), ბარბარა (ნვოკო 78), დიმეჩი, მიფსუდი, ვუდსი, სკებრი, სკერი (აჯუსი 63), ქსერები, ბაჯადა, პეისი
მწვრთნელი: დუშან ფიცელი
უნგრეთი: ფულოკი, ბოდნარი, ვანცაკი, იუჰასი, ბოდორი, ჰალმოში, ძუძაკი (ბუჟაკი 70), დარდაი (ტოტი 86), ტორგელე, გერა, ჰუსტი
მწვრთნელი: ერვინ კუმანი
გაფრთხილება: დარდაი, იუჰასი, გერა, დიმეჩი, პეისი, ბოდნარი
მსაჯი: იოჰანეს ვალგეირსონი (ისლანდია)
8 000 მაყურებელი

**პორტუგალია 0:0 ალბანეთი**

პორტუგალია: კიმი, ბრუნუ ალვეში, პაულუ ფერეირა, მიგელი (ნუნუ გომეში 75), პეპე, რაულ მეირელეში, კრიშტიანუ რონალდუ, მანუელ ფერნანდეში, უგუ ალმეიდა, ჟოაუ მოუტინიუ (ნანი 55), დანი (კუარეშმა 55)
მწვრთნელი: კარლუშ კეიროში
ალბანეთი: ბექაი, ბექირი (ტელი 24), ვანგიელი, კანა, კური, აგოლი, ბულკუ, დურო (ბერიშა 77), სკელა, ლალა, ბოგდანი (ვრაპი 46)
მწვრთნელი: არი ჰაანი
გაფრთხილება: ტელი, ლალა, ტელი, უგუ ალმეიდა
გაძევება: ტელი (42)
მსაჯი: კნუტ კირხერი (გერმანია)
39 000 მაყურებელი

**შემდეგი მატჩი**
**11 თებერვალი, 2009 წელი**
**მალტა — ალბანეთი**

**დანიმ,** ალმეიდამ და ნანიმ ალბანელთა მეკარე არიან ბექაი მატჩის გმირად აქციეს. სამივემ ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენა. 4-5 მეტრიდან ბურთი მეკარეს ვერ ააცილეს და კარლუშ კეიროშმა ნამატჩევს თქვა: „ფრეს არ ველოდი, მაგრამ არ ვიცი, მეტი რაღა უნდა გაგვეკეთებინა მოსაგებად."

სტუმართა დაშავებული მცველი ელვინ ბექირი 24-ე წუთზე ადმირ ტელიმ შეცვალა, რომელმაც 18 წუთში ორი ყვითელი ბარათის მიღება მოასწრო — მეორე გაფრთხილება კრიშტიანუ რონალდუს ცემისთვის დაიმსახურა. მანჩესტერელს სახეში იდაყვი ჩაარტყა.

ალბანელები ათნი დარჩნენ და მათ საჯარიმოში მასპინძლებმა მეორე ტაიმში თავისუფლად, მაგრამ უხეიროდ ისეირნეს.

პირველ ტურში მალტასთან გამარჯვებას პორტუგალიამ ზედიზედ სამი მოუგებელი მატჩი მიაყოლა. ბოლო ორში კი გოლი ვერ გაიტანა.

„ათი კაცით სტუმრად პორტუგალიასთან ფრე ჩვენთვის დიდებული შედეგია"— განაცხადა ალბანელთა თავკაცმა არი ჰაანმა.

ნამატჩევს გასახდელისკენ მიმავალი მასპინძლები ქომაგებმა სტვენით გააცილეს.

უნგრეთმა ტორგჰელის თავურით მალტაში მოიგო, სადაც ორი წლის წინ ევროშესარჩევში დამარცხდა და რევანში აიღო.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| უნგრეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| პორტუგალია | 4 | 1 | 2 | 1 | 6:3 | 5 |
| ალბანეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:2 | 5 |
| შვედეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| მალტა | 4 | 0 | 0 | 4 | 0:11 | 0 |



სტანისლავ შესტაკმა (შუაში) სლოვაკეთს წაგებული თამაში მოაგებინა

# მსაჯის ფეხები

III ჯგუფი

**ჩეხეთი 1:0 სლოვენია**

1:0 სიონკო (63)
ჩეხეთი: ჩეხი, როზეჰნალი, იანკულოვსკი, სიონკო, ფენინი (სვერკოში 82), პოლაკი, პლაშილი, იაროლიმი (შორლი 66), ბაროში (კლადრუბსკი 90), რაინობი, უიფალუში
მწვრთნელი: პეტრ რადა
სლოვენია: ჰანდანოვიჩი, ბრეჩკო (მეიაცი 87), შულერი, მიჭრეცი, ილიჩი (ილიჩი 79), კორენი, რადოსავლევიჩი, ნოვაკოვიჩი, შიშიჩი (ბირსა 65), კირმი, ილიჩი
მწვრთნელი: მატიაჟ კეკი
გაფრთხილება: ილიჩი, იაროლიმი, პოლაკი, ბრეჩკო, შულერი, ბაროში
მსაჯი: მარტინ ეტკინსონი (ინგლისი)
15 525 მაყურებელი

**სლოვაკეთი 2:1 პოლონეთი**

0:1 სმოლიარეკი (70), 1:1, 2:1 შესტაკი (85, 86)
სლოვაკეთი: სენეცკი, პეტრაში, პეკარიკი, ჩეხი, შაჰარა (იაკუბკო 73), შესტაკი, ზაბავნიკი (კოზაკი 83), ვიტეკი, დურიცა, ჰამშიკი, იენდრიშეკი (ობჟერა 81)
მწვრთნელი: ვლადიმირ ვაისი
პოლონეთი: ბორუცი, ვოიტკოვიაკი, დუდკა, გერეირუ (რ. ლევანდოვსკი 89), სმოლიარეკი, ბროჟეკი (კრჟინოვეკი 84), მურავსკი (გარგულა 66), ვასილევსკი, ჟევლაკოვი, ბლაშჩიკოვსკი, მ. ლევანდოვსკი
მწვრთნელი: ლეო ბეენჰაკერი
გაფრთხილება: ვოიტკოვიაკი, ზაბავნიკი, ობჟერა
მსაჯი: ბერტრან ლეიე (საფრანგეთი)
17 650 მაყურებელი

**ჩრდ. ირლანდია 4:0 სან მარინო**

1:0 ჰილი (30), 2:0 მაკკანი (43), 3:0 ლაფერტი (56), 4:0 დევისი (75)
ჩრდ. ირლანდია: ტეილორი, მაკაული (მაკგივერნი 61), მაკკარნტი, ბეირდი, ოკონერი, გილესპი, დევისი, ჰილი, ლაფერტი (ფინი 82), მაკკანი (პატერსონი 72), ჰიუზი
მწვრთნელი: ნაიჯელ უორთინგტონი
სან მარინო: ფ. ვალენტინი, კ. ვალენტინი, მაურო მარანი, ალბანი, დელა ვალე, ბაჩოკი, ბონინი (ფ. ვიტაიოლი 77), მიკელე მარანი, მანუელ მარანი (ჩიბელი 86), სელვა (მ. ვიტაიოლი 46), ვანუკი
მწვრთნელი: ჯანპაოლო მაცა
გაფრთხილება: დელა ვალე, მაკაული, მაკგივერნი, კ. ვალენტინი
გაძევება: მაურო მარანი (63)
მსაჯი: პეტერი კარი (ფინეთი)
20 000 მაყურებელი

**შემდეგი მატჩი**
**19 ნოემბერი, 2008 წელი**
**სან მარინო — ჩეხეთი**

**სტანისლავ შესტაკმა** ორ წუთში მოუგო პოლონეთს და სლოვაკეთმა მეტოქეს ცხრილში პირველი ადგილი წაართვა.

ამ საქმეში მასპინძლებს სტუმართა მეკარე არტურ ბორუცი დაეხმარა, რომელმაც ბუმბულივით დაშვებული ბურთი ვერ დაიჭირა და იქვე ჩასაფრებულმა სლოვაკმა ფორვარდმა გაათანაბრა.

მერე კი შესტაკს პოლონელი მცველისგან ასხლეტილი და ძელიდან უკუგდებული ბურთი მიუვიდა და მეორე შეაგდო.

მანამდე კი სტუმრები ექვსპასიანი კოხტა კომბინაციის შემდეგ ცარიელ კართან დარჩენილმა ები სმოლარეკმა დააწინაურა.

ამ გოლის მერე ლეო ბეენჰაკერმა მოედანზე ერთი თავდამსხმელი დატოვა — ბროჟეკის ნაცვლად ნახევარმცველი კრჟინოვეკი შეუშვა და შუახაზის გაძლიერება სცადა, მაგრამ შესარჩევში პირველ მარცხს ვერ ასცდა.

„საუცხოოდ ვითამაშეთ და ბოლოს იღბალიც ჩვენსკენ იყო — თქვა სლოვაკთა მწვრთნელმა ვლადიმირ ვაისმა — წაგებული მატჩი შემოვაბრუნეთ და ვფიქრობ, გამარჯვებას ვიმსახურებდით. ცხრილის თავში ყოფნა ძალიან სასიამოვნოა".

პირველი მოგება იზეიმა ჩეხეთმა ახალი მწვრთნელის პეტრ რადას ხელში. სლოვენია შესვენებამდე უკეთ თამაშობდა და ორი მომენტიც ჰქონდა, ჩეხებმა კი მეორე ნახევარში იყოჩაღეს და სიონკომ იანკულოვსკის ჩაწოდებული სტუმართა კარში თავით შეაგდო.

საგოლე კომბინაციაში მონაწილეობდა მსაჯიც, რომელმაც ბურთი, სანამ იანკულოვსკიმდე მივიდოდა, ფეხებსშუა გაატარა და წაიქცა.

გაიხარეს ჩრდილოირლანდიელებმაც. თავის კბილა მეტოქეებს ვერ მოუგეს და სან მარინო დაჩაგრეს. ისედაც სუსტ გუნდს 3:0-ზე მაურო მარანი გაუძევეს და დევისმა მეოთხე გოლი გაიტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 9 |
| პოლონეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| სლოვენია | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| ჩრდ. ირლანდია | 4 | 1 | 1 | 2 | 5:4 | 4 |
| ჩეხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| სან მარინო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:9 | 0 |

# ოტმარმა ოტო დაასრულა


ბერძენი ვასილიოს ტოროსიდისი (მარჯვნივ) და შვეიცარიელი ვალონ ბეჰრამი

II ჯგუფი

**ლატვია 1:1 ისრაელი**

0:1 ბენაიუნი (50), 1:1 კოლესნიჩენკო (89)
ლატვია: ვანინსი, ასტაფიევსი, კლავა, ივანოვსი, კაჩანოვსი, კოლესნიჩენკო, რუბინსი, კარლსონსი (გრებისი 61), გორკსი, პერეპლიოტკინსი (ცაუნა 61), სოლონიცინსი (ვიშნიაკოვსი 75)
მწვრთნელი: ალექსანდრს სტარკოვსი
ისრაელი: აუატე, შაბანი, ბენ ჰაიმი, ალბერმანი, ტომა, კაიალი (ოჰაიონი 67), ბენ დაიანი, ბარდა (ბუზაგლო 90), გოლანი (შაჰარი 82), კეინანი, ბენაიუნი
მწვრთნელი: დრორ კაშტანი
მსაჯი: ვლადიმირ ჰრჟინაკი (სლოვაკეთი)
7 100 მაყურებელი

**ლუქსემბურგი 0:0 მოლდოვა**

ლუქსემბურგი: ჟუბერი, კინციგერი, პაიალი (გერსონი 46), ჰოფმანი, პეტერსი, შტრასერი, ბეტმერი, ბოსი (ლომბარდელი 46), ლევეკი (იოახიმი 71), მუჩი, კიტანჟი
მწვრთნელი: გი ჰელერი
მოლდოვა: კალანჩეა, არმასი, ლაშენკოვი, ეპურეანუ, რებეჟა, კორნეენკოვი (ჩებოტარუ 73), პიკუშჩაკი (ტიგირლასი 65), ბორდიანი, ბუგაიოვი (ბულატი 54), ფრუნზა, სუვოროვი
მწვრთნელი: იგორ დობროვოლსკი
გაფრთხილება: რებეჟა, პიკუშჩაკი, არმასი, ბულატი
მსაჯი: მარცინ ბორსკი (პოლონეთი)
2 157 მაყურებელი

**საბერძნეთი 1:2 შვეიცარია**

0:1 ფრაი (42პ), 1:1 ხარისტეასი (68), 1:2 ნკუფო (77)
საბერძნეთი: ხალკიასი, სეიტარიდისი, პაპადოპულოსი, დელასი, ბასინასი, სამარასი (კარაგუნისი 63), კაცურანისი, ხარისტეასი, ტოროსიდისი, კირიაკოსი (პაცაცოღლუ 28), გეკასი (ლიბეროპულოსი 46)
მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი
შვეიცარია: ბენალიო, ლიხტშტაინერი, გრიხტინგი, ეგიმანი, ჰუგელი, ბარნეტა (ფერნანდეში 34), ინლერი, ფრაი (ჰაქან იაქინი 77), ნკუფო (დერდიოქი 88), ბეჰრამი, შპიხერი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: პაპადოპულოსი, კაცურანისი, ფერნანდეში, ლიხტშტაინერი
მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)
28 810 მაყურებელი

**შემდეგი მატჩები**
**28 მარტი, 2009 წელი**
**ლუქსემბურგი — ლატვია**
**მოლდოვა — შვეიცარია**
**ისრაელი — საბერძნეთი**

**ათენში** ორი გერმანელის შეხლა სტუმრის, ოტმარ ჰიცფელდის გამარჯვებით დასრულდა.

საბერძნეთს სამივე მატჩი ჰქონდა მოგებული და გოლიც არ გაეშვა, მაგრამ შვეიცარიამ ორივე სერია დაუსრულა.

ჰიცფელდის გუნდმა შესარჩევი აბდაუბდად დაიწყო. ისრაელში ორბურთიანი სხვაობა გაანიავა, შინ მოულოდნელად ლუქსემბურგთან წააგო, ლატვიას გაჭირვებით სძლია და არც საბერძნეთთან ითვლებოდა ფავორიტად, მაგრამ ჯგუფის ლიდერს პირველი მარცხი აგემა.

პაპადოპულოსმა ბეჰრამი წაქცია, ფრაიმ კი პენალტი გაიტანა. ხარისტეასმა ათი მეტრიდან გაათანაბრა, ხოლო მეკარესთან პირისპირ გასული ნკუფო ხალკიასს გასცდა და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა. ჯგუფში დაუმარცხებელი დარჩა ისრაელი, რომელიც ლატვიასთან გამარჯვების შემთხვევაში პირველ ადგილზეც გადავიდოდა.

იოსი ბენაიუნმა დააწინაურა სტუმრები და ოთხ დღეში მეორე გოლი მიითვალა, ლატვიელებმა კი ბევრი მომენტიდან ერთი გამოიყენეს და კოლესნიჩენკომ მასპინძლებს ქულა გადაურჩინა.

პირველი ქულა ეღირსა მოლდოვასაც, ოღონდ ლუქსემბურგთან უგოლო ფრე ოთხ ყვითელ ბარათად დაუჯდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:2 | 9 |
| ისრაელი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:5 | 8 |
| შვეიცარია | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| ლატვია | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| ლუქსემბურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:7 | 4 |
| მოლდოვა | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | 1 |

საქართველოს პრეფერანსის ფედერაცია აწყობს ეროვნულ ჩემპიონატს, 18-19 ოქტომბერს ჭადრაკის სასახლეში.
რეგისტრაცია იწყება 16 ოქტომბრიდან.
საკონტაქტო ტელეფონი 899 11 14 19

# მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## მისიონერი ტროხოვსკი

### IV ჯგუფი

**რუსეთი 3:0 ფინეთი**

1:0 პასანენი (23ს.კ.), 2:0 ლამპი (65ს.კ.), 3:0 არშავინი (88)

**რუსეთი:** აკინფეევი, ანიუკოვი, იგნაშევიჩი, ვ. ბერეზუცკი, დენისოვი, სემშოვი, არშავინი (ძაგოევი 90), სემაკი, პოგრებნიაკი (საენკო 60), ზირიანოვი, ჟირკოვი

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

**ფინეთი:** იაასკელაინენი, პასანენი, ჰიუპია, ტიჰინენი, ვაირინენი (როიჰა 69), ერიომენკო (ტაინიო 66), ფორსელი, კოლკა, ლამპი, ჰეიკინენი, სიოლუნდი (ლიტმანენი 84)

მწვრთნელი: სტიუარტ ბაქსტერი

გაფრთხილება: ანიუკოვი, კოლკა

მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

30 000 მაყურებელი

**გერმანია 1:0 უელსი**

1:0 ტროხოვსკი (72)

**გერმანია:** ადლერი, ფრიდრიხი (ფრიცი 65), ვესტერმანი, შვაინშტაიგერი, პოდოლსკი (გომესი 82), კლოზე (ჰელმესი 46), ბალაკი, ტროხოვსკი, ჰიცლშპერგერი, ლამი, მერტეზაკერი

მწვრთნელი: იოახიმ ლიოვი

**უელსი:** ჰენესი, განტერი (რიკეტსი 86), ბეილი, მორგანი, კოლინზი, უილიამსი, დეივისი, ბელამი, კუმასი, ფლეტჩერი (ევანსი 77), ედვარდსი (რობინსონი 77)

მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი

გაფრთხილება: რიკეტსი

მსაჯი: ლორან დუამელი (საფრანგეთი)

44 500 მაყურებელი

**შემდეგი მატჩები**

**28 მარტი, 2009 წელი**

**გერმანია — ლიხტენშტაინი**

**უელსი — ფინეთი**

**რუსეთი — აზერბაიჯანი**

**ზედიზედ** ორი მატჩის მოგებისა და მდევარი რუსეთის ოთხი ქულით ჩამოშორების შემდეგ იოახიმ ლიოვმა თქვა, რომ მისია შესრულებულია.

„ექვსი ქულით სრულიად კმაყოფილი ვარ და მომავალი წლისთვის მშვიდად მოვემზადებით — განაცხადა ბუნდესნაკრების თავკაცმა — ველოდი, რომ უელსი დაცვაში ჩაჯდებოდა და ასეც მოხდა, მაგრამ მეორე ტაიმში მოვუმატეთ, რადგან გუნდი ფსიქოლოგიურად ძლიერია“.

უელსმა საათზე მეტხანს გაუძლო მასპინძელთა შეტევებს, მაგრამ სტუმართა მეკარემ ვერაფერი მოუხერხა ტროხოვსკის დარტყმულს. ჰამბურგელმა ნახევარმცველმა მეჩვიდმეტე სანაკრებო მატჩში პირველი გოლი შეაგდო. საჯარიმოს გარედან ცაციით დაჰკრა და ბურთი ჰენესისგან მარცხენა მაღალ კუთხეში ჩასვა.

„ჩვენ ისე ვერ ვუტევდით, როგორც გვსურდა, მაგრამ არც მეტოქეს მივეცით გასაქანი პირველ ტაიმში — განაცხადა უელსელთა მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა — მეორეში კი დალლა დაგვეტყო და ამიტომაც თავს კარგად ველარ ვიცავდით“.

ფინელ მცველებს კი მოსკოვში ალბათ სხვისი ბუცები ეცვათ, რადგან კარის ხაზიდან ბურთის გამოტანისას ორჯერ გოლი საკუთარ კარში შეაგდეს და რუსების საქმე გააკეთეს.

ჯერ პასანენმა, მერე კი ლამპიმ უცნაური მოძრაობებით სცადეს ბურთის მოგერიება და კარს არცერთმა არ ააცილა.

ანდრეი არშავინმა მატჩის ბოლოს კონტრშეტევაზე გაიტანა. ორ მცველში გაძვრა, მეკარეც დააწვინა და უპატრონო ბადეში შეაგდო.

„გერმანიასთან პირველ ტაიმში ცუდად ვითამაშეთ, ამჯერად კი თავიდანვე შევუტიეთ და კიდეც დაგვიფასდა“ — თქვა გუს ჰიდინკმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 4 | 3 | 1 | 0 | 12:4 | 10 |
| რუსეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| უელსი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:3 | 6 |
| ფინეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:6 | 4 |
| აზერბაიჯანი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:2 | 1 |
| ლიხტენშტაინი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:8 | 1 |

## ტრაგიკომედია, ანუ 0 წამის წესი

**ბრაზილიაში** მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ფუტზალში გუშინ ნახევარფინალები გაიმართა. ბრაზილიამ რუსეთს 4:2 მოუგო, ესპანეთმა კი იტალია 3:2 დაამარცხა. ბრაზილიელთა მოგებაზე არაფერს ვიტყვით, აი, ესპანეთი — იტალიის მატჩი...

ძირითადი დრო 1:1 დასრულდა, დამატებითში მეტოქეებმა კიდევ თითო გაიტანეს და პენალტების სერიამდე 4 წამილა რჩებოდა — ფუტზალში, მოგეხსენებათ, სუფთა დრო იანგარიშება.

ამ 4 წამში კი აი, რა მოხდა: იტალიელებმა ბურთი დაკარგეს. ესპანელები შეტევაში წავიდნენ. კარში დარტყმული ბურთი ერთ იტალიელს მოხვდა, რიკოშეტით მეორე იტალიელს, ფოლიას მიუვიდა, მისგან კი ბურთი კარის ძელისკენ წავიდა. ძელიდან ასხლეტილი ისევ ფოლიას მოხვდა და გოლიც გავიდა.

ამ, თავისთავად ტრაგიკომიკურ სიტუაციას არანაკლები გაგრძელება მოჰყვა. იმ მომენტში, როცა ბურთი ძელს მოხვდა, ტაბლოზე მატჩის დრო ამოიწურა. ესპანელები გოლის ჩათვლას მოითხოვდნენ, იტალიელები აპროტესტებდნენ, ფოლია ტიროდა, მსაჯები კი საგონებელში იყვნენ და ვიდეოს ატრიალებდნენ.

მერე მსაჯების აზრი იტალიელთა სასარგებლოდ გადაიხარა (ტაბლოს მიხედვით, აბსოლუტურად სამართლიანადაც). ესპანელებმა მოედანი დატოვეს. იტალიელებმა ტექნიკური გამარჯვების სუნი იგრძნეს და ამ დროს მსაჯებმა გამოაცხადეს... მატჩის დასრულებამდე კიდევ წამის მეასედი იყო დარჩენილიო, რასაც, სხვათა შორის, ფიფას ოფიციალური საიტი არ ადასტურებს — იქ გოლის დროდ 50.00 წუთი წერია და არა, ვთქვათ, 49.59.

ესპანეთი ფინალში გავიდა...

**ძოტე ძიძელია**

## კონკაკაფი. V ტური

### I ჯგუფი

**ტრინიდადი 2:1 აშშ**

1:0 ედვარდსი (62), 1:1 დეივისი (75), 2:1 იორკი (79)

**კუბა 2:1 გვატემალა**

1:0 კოლომე (45პ), 1:1 პაპა (79), 2:1 ურხეიესი (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 5 | 4 | 0 | 1 | 12:3 | 12 |
| ტრინიდადი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:6 | 8 |
| გვატემალა | 5 | 1 | 2 | 2 | 6:5 | 5 |
| კუბა | 5 | 1 | 0 | 4 | 5:15 | 3 |

**შემდეგი მატჩები**

**19 ნოემბერი, 2008 წელი**

**აშშ — გვატემალა**

**ტრინიდადი — კუბა**

### II ჯგუფი

**კანადა 2:2 მექსიკა**

1:0 გერბა (12), 1:1 სალსიდო (34), 2:1 რაძინსკი (50), 2:2 ვუოსო (64)

**იამაიკა 1:0 ჰონდურასი**

1:0 შელტონი (16)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | 10 |
| ჰონდურასი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:5 | 9 |
| იამაიკა | 5 | 2 | 1 | 2 | 3:6 | 7 |
| კანადა | 5 | 0 | 2 | 3 | 6:10 | 2 |

**შემდეგი მატჩები**

**19 ნოემბერი, 2008 წელი**

**ჰონდურასი — მექსიკა**

**იამაიკა — კანადა**

### III ჯგუფი

**კოსტა რიკა 2:0 ჰაიტი**

1:0 დიასი (16), 2:0 ნუნიესი (90)

**სალვადორი 3:0 სურინამი**

1:0 სელაია (11), 2:0 კინტანილია (26), 3:0 გარდენი (81ს.კ.)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოსტა რიკა | 5 | 5 | 0 | 0 | 17:2 | 15 |
| სალვადორი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:1 | 10 |
| ჰაიტი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:12 | 2 |
| სურინამი | 5 | 0 | 1 | 4 | 3:18 | 1 |

**შემდეგი მატჩები**

**19 ნოემბერი, 2008 წელი**

**სურინამი — ჰაიტი**

**სალვადორი — კოსტა რიკა**

## ისევ დავიდ ვილია და შეუჩერებელი ესპანეთი

### V ჯგუფი

**ბოსნია 4:1 სომხეთი**

1:0 შპაჰიჩი (31), 2:0 ძეკო (39), 3:0 მუსლიმოვიჩი (56), 3:1 მინასიანი (85), 4:1 მუსლიმოვიჩი (89)

**ბოსნია:** ბრაშნიჩი, ბერბეროვიჩი (ვლადავიჩი 62), შპაჰიჩი (ვასილიჩი 68), მურატოვიჩი, რაჰიმიჩი, დამიანოვიჩი, მისიმოვიჩი, ძეკო, მრავაცი, იბიშევიჩი (მუსლიმოვიჩი 46), სალიჰოვიჩი

მწვრთნელი: მიროსლავ ბლაჟევიჩი

**სომხეთი:** ბერეზოვსკი, იედიგერიანი (მინასიანი 60), ფოქსეფიანი, აზურმანიანი, ვოსკანიანი, ზებელიანი (მაკობიანი 73), კარამიანი, მელკონიანი (არაქელიანი 42), პაჩაიანი, მკრტიჩიანი, თათეოსიანი

მწვრთნელი: იან პოულსენი

გაფრთხილება: შპაჰიჩი, კარამიანი

მსაჯი: ასაფ კენანი (ისრაელი)

20 000 მაყურებელი

**ესტონეთი 0:0 თურქეთი**

**ესტონეთი:** ლონდაკი, შიშოვი, ბარენგრუბი, პიიროია, კრუგლოვი, დმიტრიევი, მოსკობოინიკოვი (ზენიოვი 65), ოპერი, ვუნკი (თური 79), ვასილიევი, კლავანი

მწვრთნელი: ტარმო რუუტლი

**თურქეთი:** ვოლქანი, სერვეთი, ჰაქან ბალთა, იბრაჰიმი, საბრი, არდა, მეჰმეთ აურელიო, ქაზიმი (ულური 74), ჰალილ ალთინთოფი, აიჰანი (იუსუფი 61), ნური შაჰინი (მევლუთი 34)

მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი

გაფრთხილება: არდა

მსაჯი: რობერტ მალეკი (პოლონეთი

6 500 მაყურებელი

**ბელგია 1:2 ესპანეთი**

1:0 სონკი (7), 1:1 ინიესტა (36), 1:2 ვილია (88)

**ბელგია:** სტაინენი, სიმონსი, კომპანი, ვან ბუიტენი (დამსი 46), დეფური (ვან დამე 73), ვიტსელი, სონკი, ვერმაელენი, ვერტონგენი, ვანდენ ბორე (ჟიიე 88), ფელაინი

მწვრთნელი: რენ ვანდერეიკენი

**ესპანეთი:** კასილიასი, ხუანიტო, პუიოლი, ინიესტა (გუისა 85), ვილია, ხავი, ტორესი (ფაბრეგასი 16), კაპდევილა, სერხიო რამოსი, სენა, კასორლა (ჩაბი ალონსო 64)

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

გაფრთხილება: სიმონსი, ინიესტა, პუიოლი, ვერტონგენი, ფაბრეგასი, ვილია

მსაჯი: ტომას იოვრებიო (ნორვეგია)

35 888 მაყურებელი

**შემდეგი მატჩები**

**28 მარტი, 2009 წელი**

**სომხეთი — ესტონეთი**

**ბელგია — ბოსნია**

**ესპანეთი — თურქეთი**



სერხიო რამოსმა და ესპანეთმა ბელგიელებს თამაში შემოუბრუნეს

**ვისენტე დელ ბოსკეს** ესპანეთმა ჯგუფის მეოთხე მატჩიც მოიგო და მდევრებს უკვე მეტისმეტი გაექცა. უკვე შეიძლება ითქვას, რომ ძალიან ძნელი წარმოსადგენია, ევროპის მოქმედ ჩემპიონებს პირველ ადგილში ვინმე შეეცილოს.

ბელგიამ კარგად ითამაშა, მომენტებიც შექმნა და შეიძლება ითქვას, რომ ცოტა არ გაუმართლა, რადგან მასპინძლებმა მეორე გოლი მხოლოდ 88-ე წუთზე გაუშვეს, თორემ ქულას მოიპოვებდნენ.

მასპინძლებმა ანგარიში მე-7 წუთზე გახსნეს, ვინ იზამდა ამას, თუ არა უესლი სონკი. ეს გახლავთ პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი გოლი, რომელიც პირინეელებმა ამ შესარჩევ ეტაპზე საკუთარ კარში მიიღეს.

ცოტა ხანში, ფერნანდო ტორესი დაშავდა და მე-16 წუთზე შესაცვლელი შეიქნა. შეიძლება პარადოქსულად ჟღერდეს, მაგრამ ეს ესპანეთს წაადგა კიდეც, რადგან მის ნაცვლად მინდორზე შესული სესკ ფაბრეგასი სტუმართა გამთანაბრებელი გოლის მთავარი შემოქმედი გახლდათ, მისი წამოწყებული საქმე მშვენივრად დააგვირგვინა ანდრეს ინიესტამ.

როგორც გითხარით, ყველაფერი 88-ე წუთზე გადაწყდა, როცა ასევე შეცვლაზე შესულმა დანიელ გუისამ კარგად უპასა დავიდ ვილიას და ვალენსიელის თავურიც უბადლო გამოდგა.

თურქებმა უშუალო კონკურენტების შეხვედრით ვერ ისარგებლეს და ესტონეთიდან ოდენ ქულა წაიღეს.

მართალია, ფათიჰ თერიმის გუნდი ფლობდა უპირატესობას, მაგრამ მომენტების გამოყენება ვერ შეძლო. მეტიც, უქმად არც მასპინძლები იყვნენ და მათ მეტოქისთვის გამარჯვების გამოგლეჯვაც კი შეეძლოთ.

„ცხადია, კმაყოფილები ვართ, ეს ჩვენი პირველი ქულაა გვიხარია, რომ ამდენი წაგებების მერე, ფრეს მაინც მივაღწიეთ“ — აღნიშნა ესტონელთა მწვრთნელმა ტიმო რუუტლიმ.

ფათიჰ თერიმი: „ბევრი მომენტი გვქონდა და ახლაც მიკვირს, თუ როგორ ვერ შევძელით მოგება“.

ბოსნიას მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის რეალური შანსი ისევ დარჩა, მას მერე რაც, მიროსლავ ბლაჟევიჩის შეგირდებმა შინ იოლად მოუგეს გამოკვეთილ აუტსაიდერ სომხეთს და ახლა მეორე ადგილს ორი, ხოლო მესამეს, ერთი ქულითღა ჩამორჩებიან.

მასპინძლები აშკარა უპირატესობას ფლობდნენ და შეეძლოთ ბევრად დიდი სხვაობითაც მოეგოთ. პირველი გოლი ემირ სპაჰიჩმა გაიტანა კუთხურის მერე მაღლევ ედინ ჯეკომაც იხეირა თავურით. ასისტენტობა მას სამირ მურატოვიჩმა გაუწია.

56-ე წუთზე ზვიეზდან მისიმოვიჩის აქტიურობას ზლატან მუსლიმოვიჩის გოლი მოჰყვა. ერთადერთი რაც სტუმრებმა შეძლეს 85-ე წუთზე გატანილი პრესტიჟის გოლი იყო. წერტილი კი იმავე მუსლიმოვიჩმა დასვა — 4:1.

„ქება და მთელი კომპლიმენტები ფეხბურთელებს ეკუთვნით, ისინი წუთიერაც არ გაჩერებულან და ეს დაიმსახურეს. განსაკუთრებით ის მომეწონა, გოლის გაშვების მერე, ბოლოს მეოთხეც რომ გავიტანეთ“ — განაცხადა მასპინძელთა მწვრთნელმა მიროსლავ ბლაჟევიჩმა.

**გიორგი ძაძაბაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:1 | 12 |
| თურქეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 8 |
| ბელგია | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| ბოსნია | 4 | 2 | 0 | 2 | 12:4 | 6 |
| ესტონეთი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:13 | 1 |
| სომხეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:12 | 0 |

# მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი



უენი რუნის მეორე გოლი

# 23 პასი!

VI ჯგუფი

**ხორვატია 4:0 ანდორა**

1:0 რაკიტიჩი (16), 2:0 ოლიჩი (32), 3:0 მოდრიჩი (75), 4:0 რაკიტიჩი (87პ)

ხორვატია: პლეტიკოსა, შიმუნიჩი, კრიჟანაცი (კნეჟევიჩი 79), ჩორლუკა, პრანიჩი, რაკიტიჩი, ვუკოევიჩი (ლეკო 62), პეტრიჩი, მოდრიჩი, კლასნიჩი, ოლიჩი (მანძუკიჩი 66)

მწვრთნელი: სლავენ ბილიჩი

ანდორა: ალვარესი, აიალა, ესკურა (გარსია 81), როდრიგესი, ვალესი, ლიმა, პუხოლი, ვიეირა, სილვა (ოსკანო 90), ხიმენესი (სომოსა 87), ანდორა

მწვრთნელი: დავიდ როდრიგო

გაფრთხილება: როდრიგესი, აიალა, ლიმა, შიმუნიჩი

მსაჯი: იშტვან ვადი (უნგრეთი)

10 000 მაყურებელი

**ბელარუსი 1:3 ინგლისი**

0:1 ჯერარდი ((11), 1:1 სიტკო (28), 1:2, 1:3 რუნი (50, 74)

ბელარუსი: ჟავნოვი, კუელჩი, ფილიპენკო, პომელიანჩუკი, მოლოში, ბულიგა, სიტკო, კუტუზოვი (სტრახანოვიჩი 77), პუცილო (როდიონოვი 67), სტასევიჩი (ვ. გლები 90), ვერხოვცოვი

მწვრთნელი: ბერნდ შტანგე

ინგლისი: ჯეიმსი, ბრაუნი, ბრიჯი, ჯერარდი, ფერდინანდი, აშლი, უოლკოტი (რაიტ-ფილიპსი 68), ლამპარდი, ჰესკი (კრაუჩი 70), რუნი (ბექჰემი 88), ბერი

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გაფრთხილება: პუცილო, ჯეიმსი

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

32 000 მაყურებელი

**შემდეგი მატჩები**

**1 აპრილი, 2009 წელი**

**ანდორა — ხორვატია**

**ინგლისი — უკრაინა**

**ყაზახეთი — ბელარუსი**

**ინგლისის** ნაკრები მეექვსე შესარჩევ ჯგუფში უდანაკარგოდ სვლას აგრძელებს. თან ფაბიო კაპელოს შეგირდებს 4 მატჩში 14 გოლი აქვთ გატანილი და სხვა ჯგუფებს თუ გადახედავთ, ნახავთ, რომ ეს საუკეთესო შედეგია. ინგლისელებთან ყველაზე ახლოს ამ მხრივ გერმანია და ბოსნია არიან 12-12 გოლით, სხვები კი ჯერ საკმაოდ ჩამორჩებიან მათ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ინგლისს აქამდე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპებზე პირველი ოთხი მატჩი არასოდეს მოეგო.

ანგარიში „ლივერპულის" კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა გახსნა ჩინებული შორეული დარტყმით.

პაველ სიტკომ 28-ე წუთზე თავურით გაათანაბრა, მაგრამ ამ გოლში მთავარი ის არის, რომ დამაგვირგვინებელ დარტყმამდე ბელარუსელებმა 23 პასი გააკეთეს...

მეორე ტაიმის დებიუტში უეინ რუნიმ ისევ წინ გაიყვანა ინგლისელები. ამ გოლში ილომის წვლილი დაიდო ემილ ჰესკიმ. „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდმა კი დაამტკიცა რომ მშვენიერ ფორმაშია და 74-ე წუთზე დუბლი გაიფორმა. ის მისი მეხუთე გოლია ბოლო სამ სანაკრებო მატჩში. თავისი მეორე გოლის გატანა შეეძლო ჯერარდსაც, მაგრამ მისი დარტყმული ძელმა აისხლიტა.

„მატჩამდეც ვთქვი, რომ ბელარუსი საკმაოდ სერიოზული მეტოქე იქნებოდა, რაც დადასტურდა. ამიტომ, ეს გამარჯვება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. კმაყოფილი ვარ, ბიჭები კარგად გაისარჯნენ" — თქვა კაპელომ.

უეინ რუნი: „რა თქმა უნდა, გახარებული და კმაყოფლი ვარ, კარგ ფორმაშიც ვარ, გოლები გამაქვს და ჩემი ნაკრებიც იგებს და კლუბიც, ლიმილითაც ამიტომ ვთამაშობ. დღესაც სიამოვნება მივიღე ბელარუსთან გამარჯვებით. იმედია, ასე გავაგრძელებთ".

„ძალიან კმაყოფილი ვარ მეორე ნახევარში ჩვენი თამაშით და მოგებით. ბელარუსს კარგი გუნდი ჰყავს, რაც დადასტურდა, თავადაც ნახეთ თუ რა სახიფათონი იყვნენ მასპინძლები, განსაკუთრებით კი პირველ ტაიმში" — განაცხადა ჯერარდმა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ხორვატიამ იოლად მოუგო ანდორას და აუცილებელი სამი ქულა მოიპოვა. სლავენ ბილიჩის შეგირდებმა მეტოქეს თითო ტაიმში ორ-ორი გოლი აკმარეს.

ანგარიში მე-16 წუთზე ივან რაკიტიჩმა გახსნა ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმით. 32-ეზე ლუკა მოდრიჩს პენალტი აულეს, მაგრამ ივიცა ოლიჩმა დამატებაზე ივარგა.

მოდრიჩმა შეცდომა 75-ე წუთზე გამოასწორა, ტოტენჰემელს ცოტა რიკოშეტიც დაეხმარა. წერტილი კი იმავე რაკიტიჩმა დასვა პენალტით.

**ტოპი ტანდელაკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 4 | 4 | 0 | 0 | 14:3 | 12 |
| ხორვატია | 4 | 2 | 1 | 1 | 8:4 | 7 |
| უკრაინა | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ბელარუსი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ყაზახეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:11 | 3 |
| ანდორა | 4 | 0 | 0 | 4 | 1:12 | 0 |

# სერბებმა ავსტრია ვენაში დააჩაგრეს

## ავსტრიას ავსტრიამაც შეუტია

VII ჯგუფი

**ლიტვა 1:0 ფარერები**

1:0 დანილევიჩუსი (20)

ლიტვა: კარჩემარსკასი, შემბერასი, ჟედურა, სტანკევიჩუსი, შკერლა, დანილევიჩუსი, მიკოლიუნასი, ალუნდერისი, ქასნავიჩუსი (კალონასი 58), ველიჩკა (პოშკუსი 70), პილიბაიტისი (ზალიუკასი 90)

მწვრთნელი: ჟოზე კოუსეირუ

ფარერები: მიკელსენი, ნაესი, დავიდსენი, დანიელსენი, ი. იაკობსენი, ბენიამინსენი (რ. იაკობსენი 87), კ. იაკობსენი, სამუელსენი (ჰოისტედი 80), ჰოლსტი, ბო, ლოკინი (ჰანსენი 85)

მწვრთნელი: იოგვარ ოლსენი

გაფრთხილება: პილიბაიტისი, სამუელსენი

მსაჯი: კოსტას კაპიტანისი (კვიპროსი)

3 500 მაყურებელი

**ავსტრია 1:3 სერბეთი**

0:1 კრასიჩი (15), 0:2 იავანოვიჩი (18), 0:3 ობრადოვიჩი (24), 1:3 იანკო (80)

ავსტრია: მანინგერი, შტრანცლი (გერკალიუ 18), პოგატეცი, ფუხსი, აუფჰაუზერი (შაუმელი 60), ივანშიცი, გარიჩი, პრიოდლი, შარნერი, ჰიოფერი (არნაუტოვიჩი 46), იანკო

მწვრთნელი: კარელ ბრიუკნერი

სერბეთი: სტოიკოვიჩი, ლუკოვიჩი, ვიდიჩი, ივანოვიჩი, პანტელიჩი (ტოშიჩი 63), სტანკოვიჩი (იანკოვიჩი 76), მილიაში (კუზმანოვიჩი 53), ობრადოვიჩი, იავანოვიჩი, ჟიგიჩი, კრასიჩი

მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი

გაფრთხილება: ივანშიცი, ობრადოვიჩი, იანკოვიჩი

მსაჯი: მაიკლ რაილი (ინგლისი)

48 000 მაყურებელი

**შემდეგი მატჩები**

**28 მარტი, 2009 წელი**

**რუმინეთი — სერბეთი**

**ლიტვა — საფრანგეთი**



სერბთა მეკარე ვლადიმირ სტოიკოვიჩი და ავსტრიელი მარკ იანკო

**ფორმაში** შესულმა სერბეთმა ქვა-ქვაზე არ დატოვა ავსტრიის ნაკრებისგან. რადომირ ანტიჩის გუნდმა ვენაში მასპინძლებს პირველივე ტაიმში მოუმთავრა საქმე. მილოშ კრასიჩმა, მილან იოვანოვიჩმა და ივან ობრადოვიჩმა შესვენებამდე ამოავსეს მეტოქე სამი უპასუხო გოლით.

მეორე ნახევარში სტუმრებს თავი არ მოუკლავთ. თუმცა მაინც უფრო მწვავეებ გამოიყურებოდნენ. მხოლოდ ის რად ღირს, რომ მათი იერიშებისას ავსტრიელთა მცველმა სებასტიან პრიოდლმა ორჯერ კინაღამ საკუთარ კარში გაიტანა, ბურთი ორივეჯერ ძელს მოხვდა. მასპინძლებმა კი მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა შეძლეს. ეს მე-80 წუთზე „ზალცბურგის" ფორვარდმა მარკ იანკომ მოახერხა.

შედეგად, სერბები ჯგუფის ლიდერებად დარჩნენ, ხოლო ავსტრიას შესარჩევი ეტაპის კარგად დაწყების მერე, საქმე ცუდად აქვს. ასეთი რთულ ჯგუფში 4 თამაშიდან მხოლოდ 4 ქულა ნამდვლად უხეირო შედეგია, თან ფარერებთან დაკარგული ორი ქულის გათვალისწინებით. პირველ ადგილს თავი რომ დავანებოთ, კარელ ბრუკნერის შეგირდებს მეორეზე გასვლაც ძალიან გაუჭირდებათ.

ფარერებთან საშინაო შეხვედრაში ლიტვა მხოლოდ მინიმალური სხვაობით გამარჯვებას დასჯერდა. შეხვედრის ერთადერთი გოლი ნაკრების კაპიტანმა ტომას დანილევიჩუსმა მე-20 წუთზე შორეული დაბალი დარტყით გაიტანა.

რა გასაკვირია, რომ მასპინძლები უპირატესობას ფლობდნენ და მომენტები კიდევ ჰქონდათ, მაგრამ მეტის გატანა ველარ შეძლეს. მასპინძლები ამ გამარვებით ლიტველები სერბებთან ერთად ცხრილის სათავეში რჩებიან.

„ნამდვილად არ ვბრწყინავდით, მაგრამ მთავარია, რომ სამი ქულა მოვიპოვეთ, ეს ყველაფერზე მნიშვნელოვანია. 4 თამაშიდან 9 ქულა გვაქვს და ვლიდერობთ, ცუდი შედეგი არ არის. შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე ვინმეს მსგავსი რამ რომ ეწინასწარმეტყველებინა, ალბათ, დასცინებდნენ" — თქვა ლიტველთა მეორე მწვრთნელმა საულიუს სირელისმა.

**ტოპი ტანდელაკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:3 | 9 |
| ლიტვა | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | 9 |
| საფრანგეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| ავსტრია | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| რუმინეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:5 | 4 |
| ფარერები | 4 | 0 | 1 | 3 | 1:5 | 1 |

# ვიკაზე გაგიჟებული



ვიქტორია მშობლებთან ერთად

**მოურავმა,** რომელსაც დევიდ და ვიქტორია ბექჰემების სახლიდან ვარსკვლავთა პირადი ნივთების მოპარვა და საინტერნეტო აუქციონ eBay-ზე გატანა ბრალდება, განაცხადა, რომ თავისი სახლის პატრონი სიგიჟემდე, თხემით ტერფამდე უყვარს.

56 წლის ქალბატონმა ჯუნ ემეტმა „სანს" უთხრა: „მე ვიქტორია თხემით ტერფამდე მიყვარს და შეუძლებელია, მისთვის რამე მეწყენინებინა. გულის სიღრმეში მგონია, რომ მან ეს თავადაც ძალიან კარგად იცის. წლებია, რაც მას და მის ოჯახს ვიცნობ. ის წარმატებული ქალია, რომელსაც მე ვეთაყვანები. ეს ხალხი ჩვენზე ყოველთვის ზრუნავდა და მე მათგან მხოლოდ პატივისცემა მახსოვს".

| 23:00 | 600 | შემროკი-სტ.პატრიკსი | 2.75 | 3.10 | 2.40 | 1.45 | 1.28 | 1.35 |
| 22:45 | 601 | ბოჰემიანი-დერი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 22:45 | 602 | კორკი-დროგედა | 2.00 | 3.10 | 3.45 | 1.21 | 1.26 | 1.63 |
| 22:45 | 603 | გალვეი-ბრეი | 2.25 | 3.10 | 2.90 | 1.30 | 1.26 | 1.49 |
| 23:00 | 604 | ფინ ჰარპსი-სლიგო | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| | | 18 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 605 | კობი-დაბლინი | 2.25 | 3.10 | 3.00 | 1.30 | 1.28 | 1.52 |
| | | ირლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 607 | კილდარე-ლონგფორდი | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 22:45 | 608 | ლიმერიკი-უოტერფორდი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 23:00 | 609 | შელბურნი-უექსფორდი | 1.35 | 4.10 | 7.50 | 1.01 | 1.14 | 2.65 |
| | | 18 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:00 | 610 | ათლონე-მონაგანი | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| | | იაპონია. J ლიგა | | | | | | |
| | | 18 ოქტომბერი | | | | | | |
| 11:00 | 611 | ოსაკა-ივატა | 1.55 | 3.50 | 5.40 | 1.07 | 1.20 | 2.12 |
| 09:00 | 612 | ოიტა-ტოკიო | 2.00 | 3.20 | 3.25 | 1.23 | 1.23 | 1.61 |
| 10:00 | 613 | კაშიმა-კიოტო | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 10:00 | 614 | ურავა-კობე | 1.50 | 3.50 | 5.65 | 1.04 | 1.18 | 2.16 |
| 11:00 | 615 | ჩიბა-ნიიგატა | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 10:00 | 616 | ვერდი-ომია | 1.90 | 3.20 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.68 |
| 10:00 | 617 | შიმიცუ-კავასაკი | 2.55 | 3.20 | 2.40 | 1.41 | 1.23 | 1.37 |
| | | 19 ოქტომბერი | | | | | | |
| 08:00 | 618 | საპორო-კაშივა | 3.50 | 3.20 | 1.90 | 1.67 | 1.23 | 1.19 |
| 11:00 | 619 | იოკოჰამა-ნაგოია | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| | | აშშ. MLS | | | | | | |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 03:30 | 623 | ვაშინგტონი-ნიუ ინგლენდი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | 18 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:00 | 626 | ტორონტო-ჩიკაგო | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| | | 19 ოქტომბერი | | | | | | |
| 04:00 | 624 | კანზასი-სან ხოსე | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| 05;00 | 625 | სოლტ ლეიკ-დალასი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 03:30 | 627 | ნიუ იორკი-კოლამბუსი | 2.35 | 3.15 | 2.65 | 1.34 | 1.24 | 1.43 |
| 23:00 | 628 | ჩივასი-კოლორადო | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 04:30 | 629 | ჰიუსტონი-ლოს ანჯელესი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| | | მექსიკა. კლაუსურა | | | | | | |
| | | 18 ოქტომბერი | | | | | | |
| 01:55 | 630 | ტეკოსი-სან ლუისი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 19 ოქტომბერი | | | | | | |
| 04:00 | 631 | ინდიოსი-ამერიკა | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 04:00 | 632 | გუადალახარა-ატლანტე | 1.90 | 3.20 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.70 |
| 06:00 | 633 | ნეკახა-ატლასი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 02:00 | 634 | კრუს ასული-მორელია | 1.75 | 3.20 | 4.20 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| 02:00 | 635 | მონტერეი-ტიგრესი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 21:00 | 636 | პუებლა-პუმასი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 21:00 | 637 | ტოლუკა-პაჩუკა | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| | | 20 ოქტომბერი | | | | | | |
| 01:00 | 638 | სანტოსი-იაგუარესი | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| | | არგენტინა. კლაუსურა | | | | | | |
| | | 18 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:10 | 640 | კოლონი-ინდეპენდიენტე | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 02:00 | 641 | არსენტინოსი-ურაკანი | 2.00 | 3.10 | 3.50 | 1.21 | 1.27 | 1.64 |
| 04:15 | 644 | ესტუდიანტესი-ხიმნასია ჟ | 1.50 | 3.40 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.23 |
| | | 19 ოქტომბერი | | | | | | |
| 04:00 | 643 | არსენალი-ველესი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 01:20 | 645 | სან ლორენსო-სან მარტინი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 01:55 | 647 | ბანფილდი-რასინგი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 01:45 | 648 | ტიგრე-ლანუსი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| | | 20 ოქტომბერი | | | | | | |
| 04:15 | 639 | როსარიო-ხიმნასია ლპ | 2.00 | 3.10 | 3.50 | 1.21 | 1.27 | 1.64 |
| 00:15 | 642 | რივერ პლეიტი-ბოკა ხუნიორსი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 02:45 | 646 | გოდოი -ნიუელსი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| | | ბრაზილია. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 19 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:55 | 649 | პორტუგესა-გრემიო | 2.85 | 3.20 | 2.25 | 1.50 | 1.25 | 1.32 |
| 22:00 | 650 | პალმეირასი-სან პაულუ | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 22:00 | 651 | კურიტიბა-გოიასი | 1.95 | 3.20 | 3.55 | 1.21 | 1.25 | 1.68 |
| 22:00 | 652 | სპორტ რესიფე-ნაუტიკო | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 01:20 | 653 | ბოტაფოგო-სანტოსი | 1.65 | 3.50 | 4.80 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| 23:55 | 654 | ვასკო და გამა-ფლამენგო | 3.45 | 3.20 | 2.00 | 1.66 | 1.26 | 1.23 |
| 01:20 | 655 | ინტერნასიონალი-ატლეტიკო პრ | 1.35 | 3.90 | 8.50 | 1.00 | 1.16 | 2.67 |
| 01:20 | 656 | ფიგეირენსე-იპატინგა | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 22:00 | 657 | ვიტორია-ფლუმინენსე | 1.75 | 3.20 | 4.40 | 1.13 | 1.25 | 1.85 |
| 22:00 | 658 | ატლეტიკო მნ-კრუზეირო | 2.75 | 3.10 | 2.35 | 1.45 | 1.26 | 1.33 |
| | | უეფა. ჩემპიონთა ლიგა | | | | | | |
| | | 21 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:30 | 346 | ზენიტი-ბატე | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 22:45 | 348 | ვილიარეალი-ოლბორგი | 1.20 | 5.30 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.67 |
| 22:45 | 350 | მანჩესტერი-სელტიკი | 1.30 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 3.00 |
| 22:45 | 352 | ბაიერნი-ფიორენტინა | 1.80 | 3.30 | 4.50 | 1.16 | 1.28 | 1.90 |
| 22:45 | 353 | სტიაუა-ლიონი | 3.20 | 3.20 | 2.15 | 1.60 | 1.28 | 1.28 |
| 22:45 | 354 | პორტუ-დინამო კ | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 22:45 | 356 | ფენერბაჩე-არსენალი | 3.70 | 3.30 | 1.95 | 1.74 | 1.27 | 1.22 |
| 22:45 | 357 | იუვენტუსი-რეალი | 2.45 | 3.20 | 2.70 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| | | 22 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 358 | ჩელსი-რომა | 1.55 | 3.60 | 6.00 | 1.08 | 1.23 | 2.25 |
| 22:45 | 360 | ინტერი-ანორთოსისი | 1.20 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 4.00 |
| 22:45 | 362 | პანათინაიკოსი-ვერდერი | 2.60 | 3.20 | 2.55 | 1.43 | 1.28 | 1.41 |
| 22:45 | 363 | ბაზელი-ბარსელონა | 6.00 | 3.60 | 1.52 | 2.25 | 1.21 | 1.06 |
| 22:45 | 365 | ატლეტიკო-ლივერპული | 2.75 | 3.10 | 2.45 | 1.45 | 1.29 | 1.36 |
| 22:45 | 366 | პსვ-მარსელი | 2.35 | 3.20 | 2.85 | 1.35 | 1.28 | 1.50 |
| 22:45 | 367 | შახტარი-სპორტინგი | 2.10 | 3.20 | 3.40 | 1.26 | 1.29 | 1.64 |
| | | უეფა. უეფას თასი | | | | | | |
| | | 23 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 368 | ცსკა-დეპორტივო | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 20:15 | 369 | შალკე-პსჟ | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 20:15 | 370 | ჟილინა-ჰამბურგი | 4.10 | 3.40 | 1.75 | 1.85 | 1.22 | 1.15 |
| 22:00 | 371 | ტვენტე-რასინგი | 2.25 | 3.10 | 2.90 | 1.30 | 1.26 | 1.49 |
| 22:15 | 372 | გალათასარაი-ოლიმპიაკოსი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 22:45 | 373 | ჰერტა-ბენფიკა | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 22:45 | 374 | პარტიზანი-სამპდორია | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 22:45 | 375 | სევილია-შტუტგარტი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 22:45 | 377 | დინამო ზ-ნაიმეგენი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 22:45 | 378 | უდინეზე-ტოტენჰემი | 1.95 | 3.20 | 3.45 | 1.21 | 1.24 | 1.66 |
| 22:45 | 379 | ბრაგა-პორტსმუთი | 2.60 | 3.20 | 2.50 | 1.43 | 1.27 | 1.40 |
| 22:45 | 380 | ჰერენვენი-მილანი | 3.90 | 3.40 | 1.80 | 1.81 | 1.23 | 1.17 |
| 22:45 | 381 | ასტონ ვილა-აიაქსი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 22:45 | 382 | კოპენჰაგენი-სტ ეტიენი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 22:45 | 383 | როზენბორგი-ბრიუგე | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 22:45 | 384 | ნანსი-ფეიენოორდი | 2.00 | 3.20 | 3.45 | 1.23 | 1.26 | 1.66 |
| | | ჰოკეი. NHL | | | | | | |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 03:00 | 719 | ატლანტა-ნიუ ჯერსი | 2.20 | 4.20 | 1.90 | 1.44 | 1.01 | 1.30 |
| 03:30 | 720 | პიტსბურგი-ვაშინგტონი | 1.90 | 5.00 | 2.20 | 1.37 | 1.01 | 1.52 |
| 03:30 | 721 | ტამპა ბეი-აილენდერსი | 1.70 | 5.00 | 2.45 | 1.26 | 1.00 | 1.64 |
| 03:30 | 722 | ფლორიდა-მინესოტა | 2.05 | 5.00 | 2.05 | 1.45 | 1.02 | 1.45 |
| 03:30 | 723 | დეტროიტი-ვანკუვერი | 1.60 | 5.00 | 2.90 | 1.21 | 1.03 | 1.83 |
| 04:30 | 724 | სტ.ლუისი-დალასი | 2.10 | 5.00 | 2.00 | 1.47 | 1.02 | 1.42 |
| 05:00 | 725 | კოლორადო-ფილადელფია | 1.80 | 5.00 | 2.30 | 1.32 | 1.00 | 1.57 |
| | | ჰოკეი. ფინეთი | | | | | | |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:30 | 777 | იუვესკულე-ჰელსინკი | 1.80 | 4.20 | 3.10 | 1.25 | 1.13 | 1.78 |
| | | 18 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 778 | ესპო-იოკერიტი | 2.90 | 4.20 | 1.85 | 1.71 | 1.12 | 1.28 |
| 18:00 | 779 | ჰელსინკი-იუვესკულე | 2.25 | 4.20 | 2.30 | 1.46 | 1.13 | 1.48 |
| 18:00 | 780 | კალპა-ჰამეენლინა | 2.30 | 4.10 | 2.30 | 1.47 | 1.14 | 1.47 |
| 18:00 | 781 | ლუკო-ტურკუ | 1.50 | 4.20 | 4.30 | 1.10 | 1.11 | 2.12 |
| 18:00 | 782 | პელიკანსი-ილვესი | 2.00 | 4.10 | 2.70 | 1.34 | 1.14 | 1.62 |
| 18:00 | 783 | ტაპარა-საიპა | 1.45 | 4.20 | 4.90 | 1.07 | 1.11 | 2.26 |
| | | 19 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 784 | ესპოო-კალპა | 1.45 | 4.20 | 4.90 | 1.07 | 1.11 | 2.26 |
| | | ჰოკეი. ჩეხეთი | | | | | | |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:30 | 792 | ბუდეიოვიცე-ზნოიმო | 1.55 | 4.10 | 3.70 | 1.12 | 1.09 | 1.94 |
| 20:00 | 794 | კარლოვი ვარი-ვიტკოვიცე | 2.10 | 4.10 | 2.40 | 1.38 | 1.12 | 1.51 |
| 20:00 | 795 | სპარტა-პლზენი | 1.80 | 4.10 | 2.90 | 1.25 | 1.11 | 1.69 |
| 19:00 | 796 | ზლინი-ლიტვინოვი | 1.85 | 4.10 | 2.80 | 1.27 | 1.11 | 1.66 |
| 19:30 | 797 | ბოლესლავი-სლავია | 3.00 | 4.10 | 1.75 | 1.73 | 1.10 | 1.22 |
| 20:00 | 798 | პარდუბიცე-ლიბერეცი | 1.80 | 4.10 | 2.95 | 1.25 | 1.11 | 1.71 |
| | | ჰოკეი. სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 807 | სლოვაკეთი 20-სკალიცა | 7.50 | 5.50 | 1.20 | 3.17 | 1.03 | 1.00 |
| 19:00 | 808 | კეჟმაროკი-ჟილინა | 2.30 | 4.10 | 2.20 | 1.47 | 1.12 | 1.43 |
| 19:00 | 809 | ნიტრა-პოპრადი | 1.80 | 4.20 | 3.10 | 1.25 | 1.13 | 1.78 |
| 19:00 | 810 | ზვოლენი-მიკულაში | 1.70 | 4.20 | 3.45 | 1.21 | 1.13 | 1.89 |
| 19:30 | 811 | ტრენჩინი- ბანსკა ბისტრიცა | 1.75 | 4.00 | 3.40 | 1.21 | 1.15 | 1.83 |
| 20:00 | 812 | სლოვანი-მარტინი | 1.55 | 4.50 | 4.10 | 1.15 | 1.12 | 2.14 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 18 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 818 | სლოვანი-კოშიცე | 2.00 | 4.10 | 2.70 | 1.34 | 1.14 | 1.62 |
| | | ჰოკეი. გერმანია | | | | | | |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:30 | 821 | აისბარენი-ნიურნბერგი | 1.55 | 4.20 | 4.00 | 1.13 | 1.11 | 2.04 |
| 21:30 | 823 | ვოლფსბურგი-კიოლნი | 1.80 | 4.10 | 3.10 | 1.25 | 1.13 | 1.76 |
| 21:30 | 824 | ჰანოვერი-ინგოლშტადი | 1.65 | 4.20 | 3.60 | 1.18 | 1.13 | 1.93 |
| 21:30 | 825 | სტრაუბინგი-კრეფელდი | 3.35 | 4.30 | 1.70 | 1.88 | 1.12 | 1.21 |
| 21:30 | 827 | აუგსბურგი-დიუსელდორფი | 2.05 | 4.10 | 2.40 | 1.36 | 1.10 | 1.51 |
| 21:30 | 828 | ფრანკფურტი-მანჰაიმი | 2.20 | 4.10 | 2.30 | 1.43 | 1.12 | 1.47 |
| | | ჰოკეი. შვეიცარია | | | | | | |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:45 | 842 | ამბრი-კლოტენი | 2.45 | 4.20 | 2.15 | 1.54 | 1.14 | 1.42 |
| 21:45 | 843 | ბიელი-ცუგი | 2.20 | 4.10 | 2.30 | 1.43 | 1.12 | 1.47 |
| 21:45 | 844 | სერვეტი-ბერნი | 2.25 | 4.10 | 2.25 | 1.45 | 1.12 | 1.45 |
| 21:45 | 845 | რაპერსვილი-ფრიბურგი | 2.25 | 4.10 | 2.25 | 1.45 | 1.12 | 1.45 |
| 21:45 | 846 | ლანგნაუ-ლუგანო | 2.55 | 4.20 | 2.00 | 1.58 | 1.12 | 1.35 |
| | | 18 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:45 | 847 | კლოტენი-რაპერსვილი | 1.40 | 4.20 | 5.50 | 1.04 | 1.11 | 2.38 |
| 21:45 | 848 | ლუგანო-ბიელი | 1.40 | 4.20 | 5.50 | 1.04 | 1.11 | 2.38 |
| 21:45 | 849 | ცუგი-სერვეტი | 2.25 | 4.10 | 2.25 | 1.45 | 1.12 | 1.45 |
| 21:45 | 850 | ბერნი-ამბრი | 1.40 | 4.20 | 5.50 | 1.04 | 1.11 | 2.38 |
| 21:45 | 851 | დავოსი-ლანგნაუ | 1.40 | 4.20 | 5.50 | 1.04 | 1.11 | 2.38 |
| 21:45 | 852 | ფრიბურგი-ციურიხი | 2.20 | 4.10 | 2.30 | 1.43 | 1.12 | 1.47 |
| | | ჰოკეი. რუსეთი | | | | | | |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 12:00 | 1058 | ამური-სიბირი | 1.70 | 5.50 | 2.80 | 1.29 | 1.05 | 1.85 |
| 15:00 | 1059 | ნოვოკუზნეცკი-ატლანტი | 3.50 | 5.50 | 1.45 | 2.13 | 1.02 | 1.14 |
| 15:30 | 1060 | ლადა-ვიტიაზი | 1.40 | 4.50 | 3.80 | 1.06 | 1.02 | 2.06 |
| 17:00 | 1061 | მაგნიტოგორსკი-ტორპედო | 1.25 | 6.00 | 5.20 | 1.03 | 1.00 | 2.78 |
| 19:00 | 1062 | აკ ბარსი-ცსკა | 1.45 | 5.00 | 4.00 | 1.12 | 1.06 | 2.22 |
| 19:00 | 1063 | ლოკომოტივი ი-სევერსტალი | 1.30 | 5.00 | 5.00 | 1.03 | 1.03 | 2.50 |
| | | კალათბურთი. ესპანეთი | | | | | | |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:00 | 866 | ტაუ-გრანადა | 1.15 | 12.00 | 5.65 | 1.04 | 1.00 | 3.84 |
| | | 18 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:00 | 867 | ბილბაო-უნიკახა | 1.90 | 12.00 | 1.90 | 1.64 | 1.00 | 1.64 |
| | | 19 ოქტომბერი | | | | | | |
| 14:30 | 862 | ვალენსია-ესტუდიანტესი | 1.35 | 12.00 | 3.25 | 1.21 | 1.00 | 2.55 |
| 14:15 | 864 | სარაგოსა-ფუენლაბრადა | 1.40 | 12.00 | 3.00 | 1.25 | 1.00 | 2.40 |
| 14:30 | 865 | სან ფერნანდო-ბრეუსა | 1.50 | 12.00 | 2.65 | 1.33 | 1.00 | 2.17 |
| 14:30 | 868 | ხუვენტუდი-მანრესა | 1.20 | 12.00 | 4.30 | 1.09 | 1.00 | 3.16 |
| | | ხელბურთი | | | | | | |
| | | კაცები ჩემპიონთა ლიგა | | | | | | |
| | | 19 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:30 | 892 | ბარსელონა(ესპ)-კილი(გერ) | 1.25 | 11.00 | 4.00 | 1.12 | 1.00 | 2.93 |
| 22:15 | 898 | ბრეგენცი(ავს)-მონპელიე(საფრ) | 7.50 | 12.00 | 1.10 | 4.61 | 1.00 | 1.00 |
| 21:00 | 901 | შამბერი(საფრ)-ჰამარბიუ(შვედ) | 1.10 | 12.00 | 6.20 | 1.00 | 1.00 | 4.08 |
| | | ხელბურთი | | | | | | |
| | | კაცები. შვედეთის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 21;00 | 909 | ლუგი-ტრელებორგი | 1.15 | 12.00 | 6.00 | 1.04 | 1.00 | 4.00 |
| | | ხელბურთი. კაცები გერმანიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:30 | 920 | გუმერსბახი-ვეტცლარი | 1.05 | 12.00 | 9.00 | 1.00 | 1.00 | 5.14 |
| | | 18 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 921 | ლემგო-ჰამბურგი | 2.20 | 9.00 | 1.80 | 1.76 | 1.00 | 1.50 |
| 17:00 | 922 | ნორდჰორნი-მაგდებურგი | 1.30 | 9.00 | 4.20 | 1.13 | 1.00 | 2.86 |
| 17:00 | 923 | ფლენსბურგი-დორმაგენი | 1.01 | 16.00 | 15.00 | 1.00 | 1.00 | 7.74 |
| 19:00 | 926 | მელსუნგენი-სტრალსუნდერი | 1.30 | 9.00 | 3.90 | 1.13 | 1.00 | 2.72 |
| 21:00 | 927 | ბალინგენი-ესენი | 1.50 | 8.00 | 3.00 | 1.26 | 1.00 | 2.18 |
| 21:00 | 928 | გიოპინგენი-გროსვალშტადტი | 1.40 | 8.50 | 3.50 | 1.20 | 1.00 | 2.47 |
| | | 19 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 924 | მინდენი-ლიოვენი | 6.00 | 12.00 | 1.15 | 4.00 | 1.00 | 1.04 |
| | | ხელბურთი. კაცები ესპანეთის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 18 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 933 | ალმერია-არატე | 2.50 | 9.00 | 1.65 | 1.95 | 1.00 | 1.39 |
| 22:00 | 934 | ვალიადოლიდი-არაგონი | 1.15 | 11.00 | 6.50 | 1.04 | 1.00 | 4.08 |
| 22:00 | 935 | ტეუკრო-ტორევიეხა | 1.75 | 8.00 | 2.40 | 1.43 | 1.01 | 1.84 |
| | | კრივი | | | | | | |
| | | 19 ოქტომბერი | | | | | | |
| 03:00 | 980 | კ პავლიკი-ბ ჰოპკინსი | 1.25 | 18.00 | 3.60 | | | |
| | | შერეული | | | | | | |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:00 | 1069 | მტზ რიპო-ბატე(ბელარუსი) | 2.50 | 3.00 | 2.50 | 1.36 | 1.25 | 1.36 |
| 21:00 | 1074 | ვაშაში-გიორი(უნგრეთი) | 2.20 | 3.10 | 2.80 | 1.28 | 1.23 | 1.47 |
| 16:00 | 1075 | ოცელული-სტიაუა(რუმინეთი) | 4.10 | 3.20 | 1.70 | 1.79 | 1.20 | 1.11 |
| 20:00 | 1076 | ბუზაუ-ოტოპენი(რუმინეთი) | 2.40 | 3.10 | 2.50 | 1.35 | 1.22 | 1.38 |
| 21:45 | 1077 | კლუჟი-დინამო(რუმინეთი) | 2.20 | 3.00 | 2.90 | 1.26 | 1.25 | 1.47 |
| 20:00 | 1081 | დინამო კ-ზარია(უკრაინა) | 1.20 | 5.10 | 9.00 | 1.00 | 1.05 | 3.25 |
| 13:30 | 1098 | ქუინსლენდი-ადელაიდა(ავსტრალია) | 2.10 | 3.15 | 3.10 | 1.25 | 1.25 | 1.56 |
| | | 18 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 1085 | ლევადია-ფლორა(ესტონეთი) | 1.95 | 3.30 | 3.25 | 1.22 | 1.21 | 1.63 |
| 17:00 | 1086 | ლაკტაში-ლეოტარი(ბოსნია) | 1.15 | 6.40 | 7.90 | 1.00 | 1.00 | 3.53 |
| 17:00 | 1087 | სლობოდა-შიროკი ბრიეგი(ბოსნია) | 1.35 | 5.30 | 4.70 | 1.07 | 1.04 | 2.49 |
| 19:00 | 1088 | ოფკ-ვოივოდინა(სერბეთი) | 2.70 | 3.00 | 2.40 | 1.42 | 1.27 | 1.33 |
| 19:00 | 1089 | კულა-ჩუკარიჩკი(სერბეთი) | 2.00 | 2.70 | 3.90 | 1.14 | 1.32 | 1.59 |
| 20:30 | 1091 | ლევსკი-პეტრიჩი(ბულგარეთი) | 1.05 | 8.40 | 19.00 | 1.00 | 1.00 | 5.82 |
| 12:00 | 1099 | ნიუკასლი-მელბურნი(ავსტრალია) | 3.20 | 3.15 | 2.05 | 1.58 | 1.24 | 1.24 |
| | | 19 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:00 | 1070 | ბრესტი-სოლიგორსკი(ბელარუსი) | 3.10 | 3.00 | 2.10 | 1.52 | 1.25 | 1.23 |
| 20:00 | 1071 | დინამო-ნაფტანი(ბელარუსი) | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 15:00 | 1072 | ლოკომოტივი-სავიტი(ბელარუსი) | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 16:00 | 1073 | ჟოდინო-ნემანი(ბელარუსი) | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 20:00 | 1078 | რაპიდი ბუქ-გაზმეტანი(რუმინეთი) | 1.30 | 4.20 | 8.70 | 1.00 | 1.13 | 2.83 |
| 18:00 | 1079 | ვასლუი-არჯეში(რუმინეთი) | 1.70 | 3.20 | 4.20 | 1.11 | 1.21 | 1.81 |
| 19:00 | 1082 | ვორსკლა-ზაპოროჟიე(უკრაინა) | 1.90 | 2.80 | 3.90 | 1.13 | 1.27 | 1.62 |
| 17:00 | 1083 | დნეპრი-მეტალურგი(უკრაინა) | 1.90 | 2.90 | 3.70 | 1.14 | 1.25 | 1.62 |
| 18:00 | 1084 | ტავრია-კარპატი(უკრაინა) | 1.55 | 3.30 | 5.50 | 1.05 | 1.20 | 2.06 |
| 16:30 | 1090 | ლოკომოტივი-ლიტექსი(ბულგარეთი) | 2.35 | 3.20 | 2.55 | 1.35 | 1.22 | 1.41 |
| 17:00 | 1092 | ვიხრენი-სპარტაკი(ბულგარეთი) | 1.55 | 3.50 | 5.40 | 1.07 | 1.20 | 2.12 |
| 17:00 | 1093 | მინიორი-პლოვდივი(ბულგარეთი) | 2.25 | 3.15 | 2.65 | 1.31 | 1.21 | 1.43 |
| 17:00 | 1094 | ჩერნო მორე-მეზდრა(ბულგარეთი) | 1.55 | 3.45 | 5.15 | 1.06 | 1.19 | 2.06 |
| 18:00 | 1096 | აპეპ-აელ(კვიპროსი) | 2.45 | 3.00 | 2.60 | 1.34 | 1.26 | 1.39 |
| 08:00 | 1100 | სენტრალ კოსტი-ველინგტონი(ავსტრალია) | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 10:00 | 1101 | პერთი-სიდნეი(ავსტრალია) | 3.40 | 3.20 | 1.90 | 1.64 | 1.21 | 1.19 |
| | | 20 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:00 | 1080 | ბისტრიცა-უნირეა(რუმინეთი) | 3.20 | 3.20 | 2.00 | 1.60 | 1.23 | 1.23 |
| 20:00 | 1095 | ჩერნომორეცი-სლივენი(ბულგარეთი) | 2.05 | 3.20 | 3.05 | 1.24 | 1.22 | 1.56 |
| 20:30 | 1097 | აპოელ-ომონია(კვიპროსი) | 2.20 | 2.95 | 2.80 | 1.26 | 1.23 | 1.43 |



# რევაზ ჭანტურიას ორი ფრონტი: მაკედონია და ჩემპიონთა თასი

**საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებისა და მაკედონიური „მეტალურგის“ ერთ-ერთმა ლიდერმა რევაზ ჭანტურიამ თავის გუნდთან ერთად ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ორი თამაში ითამაშა და გუშინ რომ შევეხმიანეთ, განვლილი მატჩების შთაბეჭდილებებით მოხიბლული იყო. გული კი დაწყდა, რომ მისმა „მეტალურგმა“ ორივე თამაში წააგო, თუმც წაგებაცაა და წაგებაც — მაკედონიელები მსოფლიოს ხელბურთის გრანდებთან, გერმანულ „კილთან“ და ესპანურ „ბარსელონასთან“ სტუმრად გადაჭედილი ტრიბუნების თვალწინ დამარცხდნენ**

— „კილთან“ პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ და სულ სამი ბურთით დავმარცხდით. მეორე ტაიმში კი დავიღალეთ, ძალები აღარ გვეყო, რომ სათანადოდ გვეთამაშა. თან ასეთ დროს კლასი და გამოცდილებაც თავისას შვრება. გერმანიაში მოგება ძალიან ძნელი იქნებოდა, თუმც უკეთ თამაში და ნაკლები სხვაობით წაგება ნამდვილად შეგვეძლო.

**— შენს თამაშზე რას იტყვი, სამი გოლი გაიტანე. კმაყოფილი ხარ, თუ მეტიც შეგეძლო?**

— ვფიქრობ, ნორმალურად ვითამაშე. ძნელია, ასეთი დონის გუნდთან ბოლომდე გამოავლინო შენი შესაძლებლობები. „კილს“ მართლა სერიოზული შემადგენლობა ჰყავს და სახლში განსაკუთრებით ძლიერია. თან გულშემატკივრები მთელი თამაშის დროს არ ჩერდებიან და საოცარი ატმოსფეროს ქმნიან.

**— „ბარსელონასთან“ უფრო სუსტად ითამაშეთ, არადა, „კილი“ გაცილებით ძლიერია, რატომ?**

— აქაც იგივე მოხდა. პირველ ტაიმში უკეთ გამოვიყურებოდით და მერე ყველაფერი აირია. ისე, „კილთან“ უკეთ ვითამაშეთ. გერმანელებთან 8 ბურთით წავაგეთ, „ბარსასთან“ 11 გოლი მივიღეთ. მე ვერ გავიტანე, ისედაც სულ ერთხელ დავარტყი კარში.

**— „დრამენთან“ მაინც ეცდებით მოგებას?**

— „დრამენს“ შაბათს ვმასპინძლობთ და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მოვუგოთ. ჯგუფში მესამე ადგილის დაკავება გვინდა, რომ ჩემპიონთა თასიდან „ისეეფის“ თასზე გადავინაცვლოთ. რაც შეეხება „ბარსას“ და „კილს“, მათ სახლში ვიღებთ და იქნებ უკეთესად ვეთამაშოთ. საკუთარ მოედანზე გულშემატკივრებიც დაგვეხმარებიან და ვნახოთ, რა გამოვა.

**— ისე, კლასში სხვაობა დიდი იყო თუ შეიძლება „კილთან“ და „ბარსასთან“ თამაში?**

— კი იყო. ეს არცაა გასაკვირი. მსოფლიოს დონის გრანდები არიან. ჩვენგან ჯგუფიდან გასვლას ისედაც არავინ ითხოვდა — ათი პროცენტი იყო ამის შანსი.

**— ჩემპიონატში როგორი მდგომარეობაა, მთავარი კონკურენი ისევ „ვარდარია“?**

— კი, ასეა. აქ სხვა გუნდი საჩემპიონო ბრძოლაში ვერ ჩაებმება, ჯერჯერობით მაინც. პირველი წრე გუშინ დამთავრდა, „მლადოსტს“ მოვუგეთ 18 ბურთით. მე 7 გოლი გავიტანე. ახლა ჩვენ და „ვარდარს“ 19-19 ქულა გვაქვს. ჯერ ძნელია რამის პროგნოზირება. როგორც წესი, ჩემპიონობისთვის ბრძოლაში გადამწყვეტი ურთიერთშეხვედრებია. პირველი წრე დამთავრდა და მეორის დასაწყისში სწორედ „ვარდარს“ ვხვდებით. ეს თამაში ბევრ რამეს გადაწყვეტს.

**— ფეხი ხშირად გაწუხებს ხოლმე, ახლა როგორ არის ჯანმრთელობის საქმე?**

— როცა გადავიღლები, მუხლები მტკივა. დიდი დატვირთვების შემდეგ თამაში მიჭირს, თუმც ახლა შედარებით კარგად ვგრძნობ თავს, სისტემატურად მიწევს მოედანზე გასვლა.

**ლექსო მაისურაძე**



# ქართველი გოგონები მექსიკიდან ესპანეთამდე

**ჩვენი** ქალი ჩოგბურთელები ბოლო პერიოდში, ძალიან გააქტიურდნენ და პლანეტის სხვადასხვა კუთხეში იქნევენ ჩოგანს.

ჩვენების გეოგრაფია, ცხადია, პერიოდულად იცვლება, ისევე, როგორც მათი შედეგები.

გუშინ ვწერდით, რომ ფრანგულ სენტ-რაფაელში დაწყებულ 50-ათასიან ტურნირზე ჩვენი მე-2 ნომერი მაკა ჩახნაშვილი თამაშობს. დღეს კი, სამწუხაროდ, თამაში თამაშობდათი უნდა შევცვალოთ.

სენტ-რაფაელში ჩოგნობა მაკამ საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყო, თუმც ბოლო წრეში წააგო და ძირითად ბადეში ეგრეთ წოდებული „იღბლიანი წაგებულის“ ბარათს მისწვდა. სამწუხაროდ, საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლო წრეში წაგებას, ჩახნაშვილმა ძირითადი ბადის პირველივე წრეში მარცხი მიაყოლა, მაგრამ ტურნირზე გამოსვლა მაინც განაგრძო, რაკი წყვილებში ესპანელი სოლერ-ესპინოსას შეაშველა ჩოგანი. ქართულ-ესპანური წყვილი კარგი ტანდემი აღმოჩნდა. ჩახნაშვილმა და ესპინოსამ ჯერ ფრანგები დენისი და ლოჟიაკი 6:1 6:1 დაჩოგნეს, მერე კი თანამემამულეები, ტურნირი მე-2 ნომრები ბრემონი და კოენ-ალენი დაიფრინეს — 7:6 3:6 10:5. ეტყობა, ჩახნაშვილს და ესპინოსას მუხტი აქ გამოელიათ და ფრანგულ-ჩეხურ წყვილთან რადოვინიკიჩთან და ვოროცივასთან მატჩ-ტრილერში 7:6 (7:4) 6:7 (6:8) 6:10 წააგეს. ეს ნახევარფინალური შეხლა იყო და ჩახნაშვილის ფრანგული ჩოგნაობაც აქ დასრულდა.

საქართველოს პირველი ჩოგანი ანა ტატიშვილი კი აშშ-ში ამჯობინებს თამაშს და ლოურენსვილის 50-ათასიან ტურნირზე მოიქნია ჩოგანი. მოიქნია ვთქვით, რაკი ტატიშვილმა პირველივე წრეში 5:7 4:6 წააგო მასპინძელ აშა როლესთან. თუმც სტუმარ-მასპინძელი აქ პირობითია, რადგან ანა უკვე მერამდენე წელია, აშშ-ში ცხოვრობს და კრის ევერტის განთქმულ საჩოგბურთო აკადემიაშიც ვარჯიშობდა. ანა ტატიშვილი ლოურენსვილში მე-5 ნომრად იყო განთესილი და ტურნირის ფავორიტადაც მიიჩნეოდა. შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინ ტატიშვილმა ტროას ტურნირი მოიგო და თითქოს ფორმაც აკრიფა.

ქართული ჩოგბურთის კიდევ ერთი იმედი სოფო ქვაცაბაია სევილიაშია, და იქაურ 10-ათასიან ტურნირზე თამაშობს. პირველ წრეში სოფომ კი მოიგო, მაგრამ გუშინ ტურნირის მე-6 ნომერთან, იტალიელ აგნეს ძუჩინისთან 3:6 6:1 3:6 წააგო და ერთეულებში გამოსვლა დაასრულა.

წყვილებში ქვაცაბაია იტალიელ ჯორჯია მოცელოს დაუდაქალდა და მეოთხედფინალში მაროკოული ესაადი-ლალამის წყვილი 6:2 6:3 შემოჩოგნათ.

ახლა ქართულ-იტალიური დუეტი ნახევარფინალში ტურნირის მე-2 ნომრებს, ჰოლანდიელებს ჯერარდს და ლაშოინს დაუპირისპირდებიან.



სოფო ქვაცაბაია

ჩვენების ამბები კი ოქსანა კალაშნიკოვათი დავასრულოთ. 18 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა ერთი კვირის წინ მექსიკაში ლუის-პოტოსის 25-ათასიანი ტურნირი მოიგო. აქვე ერთხელაც ვთქვათ, რომ რაც კალაშნიკოვა პროფესიონალებში თამაშობს, ერთეულებში ეს მისი პირველი მოგებული ტურნირი იყო. ამის შემდეგ ოქსანამ დაისვენა და ახლა მექსიკაშივე, მეხიკოს 25-ათასიან ტურნირზე თამაშობს. გუშინ კალაშნიკოვამ პირველ წრეში არგენტინელი ხორკლინა კრავერო 6:0 5:7 6:2 დაამარცხა და მერვედფინალში ბოლიველ მარია ტერანოს დაუპირისპირდება.

სანამ კალაშნიკოვა ერთეულებში თავის პირველ მატჩს მოიგებდა, იქამდე წყვილებში პოლონელ კოსინსკას შეაშველა ჩოგანი, ოღონდ აქ არ გაუმართლათ და ტურნირის მე-2 ნომრებთან კრავეროსა და შპიგელას იუეტთან სამ სეტში 4:6 6:4 6:10 წააგეს.

**ბაჩო სვანიძე**

# ჩიხლაძე დაბრუნდა და დაბრუნდება?

მას შემდეგ, რაც საქართველოს ნაკრები დევისის თასის ევრო-აფრიკული ზონის მატჩში მასპინძელ ბელარუსთან დამარცხდა და ერთი დივიზიონით დაქვეითდა, ჩვენი ნაკრების ლიდერები, ირაკლი ლაბაძე და ლადო ჩიხლაძე გუშინდლამდე კორტზე არ გამოჩენილან. უფრო ზუსტად, გუშინ კორტზე მხოლოდ ლადო ჩიხლაძე გამოჩნდა, რომელმაც, ეტყობა, მოირჩინა მინსკში გამიზეზებული ზურგის ტრავმა, ხოლო ირაკლი ლაბაძე ავსტრიაშია და კოჭის ტრავმას მკურნალობს. როგორც თვითონ ირაკლიმ გუშინ გვითხრა, კორტზე მინიმუმ ორი კვირა ვერ გავა.

ლადო ჩიხლაძე კი საფრანგეთის ქალაქ ლა როშელშია, სადაც 15-ათასიანი ტურნირი დაიწყო. პირველ წრეში ლადო ჩიხლაძემ მასპინძელი კევინ ბოტი 6:2 6:1 მიანგრია, თუმც მეორეში ასევე ფრანგ მეტიუ როდრიგესთან 4:6 6:1 3:6 წააგო და ერთეულებში თამაში დაასრულა.

წყვილებში ჩიხლაძისა და მაროკოელი ჩაკის დუეტმა კუელარის და დარიოს წყვილი 6:2 6:4 დაამარცხა. ჩაროზად კი ბრაზილიელების კრუზი-ტორესის 6:1 6:3 ძლევა დააყოლეს. ამით ჩიხლაძემ და ჩაკიმ ნახევარფინალებში თამაშის უფლება მოიპოვეს.

შეგახსენებთ, რომ მინსკში დევისის თასზე წაგებული მატჩის შემდეგ ლადო ჩიხლაძემ თქვა, ნაკრებში არ ვითამაშებო. თუმც იმედია, ლადო გადაწყვეტილებას შეიცვლის და გაზაფხულისთვის ნაკრებს დაუბრუნდება.

გუშინ კიდევ ერთმა ქართველმა მიხეილ ჩადუნელმა მოიქნია ჩოგანი. ჩადუნელმა აშშ-ში ჰემონდის 15-ათასიან ტურნირზე ითამაშა და ძირითად ბადეში მოსახვედრად ერთი მატჩის მოგება დააკლდა.

საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩადუნელმა ჯერ ამერიკელი ჯონ ვალენტის 6:4 6:3 მოუგო, მერე კი პოლონელი იაკუბ კვასნიევიჩი 6:3 6:0 დაჩოგნა, თუმც ძირითად ბადეში გადასასვლელ მატჩში ამერიკელ ელ მიჰდავისთან 2:6 2:6 წააგო და ტურნირს გამოეთიშა.

**ბაჩო სვანიძე**



# უქართველებოდ და ქართველებით

**დღეს** საბერძნეთის ქალაქ კალითეაში, ევროპის საჭადრაკო საკლუბო ჩემპიონატი იწყება, ოღონდ ევროჭადრაკობა უჩვენოდ ჩაივლის. დავაკონკრეტოთ, რომ კალითეაში ქართული კლუბები არ იქნებიან, თორემ ჩვენი ლეგიონერები მრავლად ითამაშებენ.

საკლუბო ევროჩემპიონატი კაცებშიც გაიმართება და ქალებშიც. ტურნირი შვეიცარიული სისტემით 7 ტურად ჩატარდება.

თავში ვთქვით, რომ საბერძნეთში ქართველი ლეგიონერებიც მიუსხდებიან კუბოკრულ დაფას. ჩვენების სიმრავლით სომხური კლუბი „მიკა“ გამოირჩევა. ამ კლუბში სამი ქართველი მოჭადრაკეა: საქართველოს ოლიმპიური ნაკრების ლიდერი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, ოლიმპიური პრიზიორი და საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი ნინო ხურციძე და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ბაადურ ჯობავა. კიდევ ერთ სომხურ კლუბში „BANK KING“-ში ითამაშებს საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრი დავით არუთინიანი, ხოლო მონტე კარლოს „სერკლ ეშეს“ ღირსებას საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი ნანა ძაგნიძე დაიცავს.

**ბაჩო სვანიძე**

# ფაჩულიას შაკის მაგივრად ახალბედა ლოპესი ერგო

ეროვნული ბიბლიოთეკა




**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტა ჰოუქსი" ალბათ ვერც წლეულს დაიპყრობს რეგულარულ ჩემპიონატს, შარშანდელის გამეორება, პლეი ოფში გასვლაც წარმატებად ჩაეთვლება, თუმც ეს გუნდი საკმაოდ აქტიურობს წინასასეზონო თამაშებში და ყოველ მატჩს ისე უდგება, როგორც რეგულარულის არარიგით შეხვედრას.

ამ ოთხშაბათს „ქორები" შინ დაუხვდნენ რანგით მაღლა მდგომ „ფინიქსს" და ბოლო წუთამდე ეომნენ, თუმც საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ 100:102. არადა, „ფინიქსს" აკლდა სამი წამყვანი მოთამაშე — შაკილ ონილი, ამარე სტუდემაიერი და ლეანდრო ბარბოსა და წლევანდელ მოსამზადებელ ციკლში სასტარტო ხუთეულში პირველად დაყენებულ ზაზა ფაჩულიას ძირითადად ახალბედა რობინ ლოპესთან მოუხდა ჭიდილი. ჩვენებურმა შეტევაში არცთუ აქტიურად გალია სათამაშოდ ბოძებული 20 წუთი და თამაშიდან მხოლოდ ორჯერ ისროლა, მათგან ერთი ააცილა და საბოლოოდ 7 ქულა გააკეთა, თუმც დაცვაში საკმაოდ კარგად გაისარჯა და 10 მოხსნას ერთი დაფარება წაუმატა. ამ შემოდგომაზე ეს ზაზას საუკეთესო მაჩვენებელია. ისე კი, მან „ატლანტას" ხუთი მატჩიდან ოთხში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 20,5 წუთში 9,5 ქულა და 7,5 მოხსნა აგროვა.

„ატლანტას" კი სამი ქულა დააკლდა მეხუთე თამაშში მეოთხე გამარჯვების მოსაპოვებლად. მის რიგებში 23 ქულით საუკეთესო იყო ვეტერანი ახალწვეული ფილიპ მიური.

ფინიქსელებმა კი, რომლებსაც გრანტ ჰილმა სირენამდე 5 წამით ადრე ჩაგდებული ორიანით მოაგებინა, გამარჯვებასთან ერთად ატლანტიდან მცირედი მწუხრიც წაიყოლეს — პირველი ტაიმის ბოლოს ქუსლი იტკინა მათმა ვეტერანმა ლიდერმა, ორგზის სეზონის საუკეთესო მოთამაშე სტივ ნეშმა და ის ნამდვილად გამოტოვებს მომდევნო საგამოფენო შეხვედრას „დენვერთან".

ოთხშაბათს კიდევ არაერთი საგამოფენო მატჩი გაიმართა, მათგან ერთ-ერთს — „მილუოკისა" და „გოლდენ სტეიტის" შეხვედრას სამხრეთ ჩინურმა ქალაქმა გუანჯოუმ უმასპინძლა. ამერიკელებმა არ გააწბილეს მათ სანახავად მისული ათასობით ჩინელი და ერთმანეთს საკმაოდ მჭიდრო ბრძოლა გაუმართეს. საბოლოოდ „მილუოკიმ" 98:94 იმარჯვა. მის რიგებში საუკეთესო იყო ავსტრალიელი ცენტრი ენდრიუ ბოგუტი (18 ქულა). დამარცხებულებს 24 ქულა შესძინა „კლიპერსიდან" გადასულმა კორი მაგეტმა.

კიდევ ერთი თამაში გაიმართა გერმანიის დედაქალაქ ბერლინში, ოღონდ სამშაბათს, როცა „ნიუ ორლეანმა" პირთამდე გადაჭედილ ახალთახალ დარბაზ „O2 არენაზე" 96:80 დაჯაბნა ტრავმებისგან წამხდარი „ვაშინგტონი". ამ უკანასკნელმა თავიდან კი გაიბრძოლა, მაგრამ ტრავმირებული ვარსკვლავების — ჯილბერტ არენასისა და ანტონ ჯემისონის, აგრეთვე ძირითად ცენტრ ბრენდან ჰეივუდის არყოფნაში მალევე მოუხდა მეტოქის უპირატესობის აღიარება. ორლეანელებმა პრაქტიკულად სრული საბრძოლო გუნდით ითამაშეს (აკლდათ მხოლოდ დევიდ ვესტი). მწვრთნელმა ბაირონ სკოტმა არ დაინდო ლიდერი. კრის პოლიც კი, ვინაც ხანგრძლივი ზაფხული დასვენების მაგივრად აშშ-ს ნაკრებთან ერთად ვარჯიშსა და პეკინის ოლიმპიადაზე თამაშში გალია. პოლს ცხადია ერჩივნა, ამ არაფრისმომცემი თამაშისთვის ტრიბუნიდან ეცქირა, მაგრამ სკოტმა მას სკამი მხოლოდ მესამე მეოთხედში აღირსა, როცა თამაშის ბედი გადაწყვეტილი იყო. ჩანს, მატჩის ორგანიზატორებმა სთხოვეს, სავსე დარბაზს საუკეთესო ვარსკვლავები უჩვენეთო. ამერიკის და ვინძლო მსოფლიოს საუკეთესო გამთამაშებელს 11 პასი მოუგროვდა. მან პირველ მეოთხედში ერთი მონაკვეთი 18:0 მოაგებინა თავისიანებს და ის მეოთხედი „ნიუ ორლეანმა" 36:9 გაინავარდა.

ეს გუნდები დღესაც შეეთამაშებიან ერთმანეთს, ამ ჯერზე ესპანურ ბარსელონაში.

რუსულმა ცსკა-მ კი სამშაბათს კიდევ ერთი ამხანაგური შეხვედრა გამართა ამერიკაში, უფრო ზუსტად კანადაში, ქალაქ ტორონტოში. რამდენიმე დღის წინ „ორლანდოსთან" შერცხვენილმა არმიელებმა ახლა შეუდარებლად უკეთ ითამაშეს — „ტორონტოს" პირველი ტაიმი 47:38 მოუგეს კიდეც, მაგრამ მარცხი მაინც არ ასცდათ. საბოლოოდ ნბა-ს გუნდმა 86:78 იძალა. გამარჯვებულთა შორის 24 ქულით და 11 მოხსნით გამოირჩა ოლიმპიური ჩემპიონი კრის ბოში, რუსულ გუნდში კი 15 ქულით საუკეთესო იყო ლიტველი ფორვარდი რამუნას შიშკაუსკასი.

**ირაკლი ფირაშვილი**

# მესამე სუპერლიგური

**დღეს** დაიწყება სუპერლიგის მესამე, 2008-2009 წლების სეზონის გათამაშება. პირველი შეხვედრა რუსთავში გაიმართება.

რუსთავის „ენერჯი-ინვესტი" სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდს უმასპინძლებს, ხოლო დანარჩენი მატჩები თბილისში, სპორტის სასახლეში ჩატარდება. სუპერლიგაში 9 გუნდი მონაწილეობს: „ენერჯი-ინვესტი", „თბილავიამშენი", თსუ, „დინამო", ნტდ-თბილისი, „მაკაბი", სსსსუ (საქართველოს სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი), შშს (შინაგან საქმეთა სამინისტრო), „ბათუმი". 16 ოქტომბერს კალათბურთის ფედერაციამ გამართა პრესკონფერენცია, რომელსაც ყველა მწვრთნელი ესწრებოდა ენერჯი-ინვესტის მწვრთნელის გარდა. გუნდები 2 წრედ ითამაშებენ, რის შედეგადაც 8 საუკეთესო პლეი ოფში დაწყვილდება და ისინი მეოთხედფინალიდან გააგრძელებენ ჩემპიონობისთვის ბრძოლას.

*სუპერლიგის დირექტორი გიორგი ზამბახიძე* სუპერლიგის აქამდე დადგენილი კალენდარი შეიცვალა, ვინაიდან ბათუმის გუნდმა სუპერლიგაში მონაწილეობა ბოლო წუთს გადაწყვიტა. ჯერჯერობით მხოლოდ პირველი ტურის განრიგია ცნობილი.

ბათუმის„ბათუმის" მონაწილეობა სასიხარულოა, მას 2004 წლიდან გუნდი აღარ ჰყავდა. პრეზიდენტი ივანე მაისურაძე, რომელიც ამავდროულად მოთამაშეცაა. სუპერლიგას 10 საინფორმაციო მხარდამჭერი ჰყავს როგორც პრესა, ასევე ტელევიზია. წლევანდელი სუპერლიგა საინტერესო იქნება, შემოგვემატნენ ლეგიონერები. იქნება სპეციალური არქივი, რომელშიც სუპერლიგაში მონაწილე ყველა კალათბურთელის საშუალო სტატისტიკური მონაცემები შევა.



ნუგზარ კანდელაკი და ლევან მოსეშვილი გუშინდელ პრესკონფერენციაზე

*ნტდ-ს მწვრთნელი ნუგზარ კანდელაკი:* ჩვენი მთავარი მიზანი პლეი ოფში მოხვედრაა აუცილებლად მოვიგებთ. ლეგიონერებიც გვყავს. მოთამაშეებს ორჯერადი ვარჯიშები აქვთ და ამხანაგურ მატჩებსაც ატარებენ. თუმც არ გვაქვს დარბაზი, სადაც გუნდი რეგულარულად ივარჯიშებს. შედეგები თამაშიდან თამაშამდე ნელ-ნელა უმჯობესდება.

*სსსსუ-ს მწვრთნელი მიხეილ კობეშავიძე:* საკმაოდ ძლიერი ბაზა გვაქვს. გუნდში არიან საქართველოს ნაკრები მოთამაშეები. ჩვენი მიზანია, ნახევარფინალში გასვლა.

**სალომე ძლიაშვილი**

| | |
|---|---|
| 17 ოქტომბერი. რუსთავი. 17 სთ | |
| ენერჯი-ინვესტი — სსსსუ | |
| 19 ოქტომბერი. სპორტის სასახლე | |
| შსს — მაკაბი | 12 სთ |
| თსუ — დინამო | 14 სთ |
| ავიამშენი — ნტდ | 16:15 სთ |

ქართველ კალათბურთელებს შუა კვირაშიც არ აკლიათ ხოლმე დატვირთვა, ასე იყო ამჯერადაც, როდესაც ორი გუნდის შემადგენლობაში სამმა ჩვენებურმა ითამაშა. გიორგი ცინცაძემ და ვიქტორ სანიკიძემ ფიბას ევროთასზე, ხოლო ზაზა ფაჩულიამ ამერიკაში, საგამოფენო მატჩში. ფაჩულიას თაობაზე აქ მოკლედ ვიტყვით, რაკი ამ ქართველ კალათბურთელზე მეორე წერილშიც გვაქვს ლაპარაკი

# როკის შანსი ოცდასამია

**როკი 64:86 ბასკეტ სვონსი**

**მაშინ,** როცა თბილისში რუსთავის „ენერჯი-ინვესტი" უკრაინულ „სუმიხიმპრომთან" აგებდა, ქართველი კალათბურთელებით დაკომპლექტებული ესტონური ტარტუს „როკი" ავსტრიაში „ბასკეტ სვონსთან" დამარცხდა.

ეს შეხვედრაც ფიბა-ს ევროთასის ეგიდით მიდიოდა. გაახალგაზრდავებულმა „როკმა" მოულოდნელად, ძალიან დიდი სხვაობით დათმო ავსტრიულ გუნდთან, და, შესაბამისად, საოცრად გაირთულა მეორე ეტაპზე გასვლის საქმე. მათ სახლში იმაზე უფრო დიდი სხვაობით უნდა იმარჯვონ, ვიდრე გასვლაზე დამარცხდნენ, ანუ სულ მცირე, 23 ქულით მოგებაა საჭირო.

განსაკუთრებით გამოირჩნენ ქართველები, გიორგი ცინცაძე და ვიქტორ სანიკიძე, რომლებმაც გუნდის ლიდერობა იტვირთეს, მაგრამ მათ ვერავინ აჰყვა და დათმეს კიდეც მატჩი 22-ქულიანი სხვაობით.

საპასუხო შეხვედრა 21 ოქტომბერს გაიმართება, ეს „როკის" ბოლო შანსი იქნება. არადა, გასულ სეზონში ესტონელები ამ ტურნირის ოთხ ფინალში გავიდნენ.

**გიორგი ცინცაძე:** *33 წუთი, 18 ქულა, 6 მოხსნა, 1 შედეგიანი გადაცემა, 2 ჩაჭრა, 3 დაკარგვა, 5 პერსონალური შენიშვნა, 11-დან 6 ორქულიანი, 1-დან 0 სამქულიანი, 6-დან 6 საჯარიმო.*

**ვიქტორ სანიკიძე:** *25 წუთი, 12 ქულა, 6 მოხსნა, 1 შედეგიანი გადაცემა, 1 ჩაჭრა, 2 დაკარგვა, 2 პერსონალური შენიშვნა, 7-დან 4 ორქულიანი, 1-დან 0 სამქულიანი, 5-დან 4 საჯარიმო.*

**ატლანტა 100:102 ფინიქსი**

**ზაზა ფაჩულია:** *19 წუთი, 7 ქულა, 10 მოხსნა, 1 დაფარება, 3 დაკარგვა, 1 პერსონალური შენიშვნა, 2-დან 1 ორქულიანი, 6-დან 5 საჯარიმო.*



# ათას ბოდიშად ქცეული ჩამბერსი

**ბრიტანელ** სპრინტერ დუეინ ჩამბერსს ყველა მიზეზი აქვს, სძულდეს როგორც მსოფლიო ანტისადოპინგო სააგენტოს ექიმ-მოხელეები, ისე სრულიად ბრიტანული სპორტის მამები.

კუნძულის უსწრაფესი მორბენალი პირველებმა 2004 წელს აკრძალული პრეპარატის ხმარებაზე დაიჭირეს და ორწლიანი დისკვალიფიკაცია აკრეს, მეორეებმა კი ამ დისკვალიფიკაციის გასვლის შემდეგ არ შეიწყნარეს და აგვისტოში პეკინში გამართული ოლიმპიადისთვის გუნდში არ შეიყვანეს, აქაოდა, შერცხვენილი სპორტსმენები „სასჯელის" მოხდის შემდეგაც ალარაფერში გვჭირდებაო.

მაგრამ ჩამბერსი მაინც ცდილობს საკუთარ თავში ამ სიძულვილის დათრგუნვას და თემიდან გარიყული და იქ დასაბრუნებლად ათას ბოდიშად ქცეული კაცის იერით ამბობს, რომ დოპინგი სპორტში თურმე ცუდი მოვლენა ყოფილა და მსოფლიო მას დაუნდობლად უნდა ებრძოლოს. ოთხი წელია, მისი კარიერა დაკონსერვებულია, ამასთან ჩამბერსი უკვე 30 წლისაა, მაგრამ მაინც ცდილობს დიდ სპორტში დაბრუნებას.

„მე თვალს ვადევნებდი ბოლო წლებში სადოპინგო ფრონტზე განვითარებულ მოვლენებს და დავრწმუნდი, რომ ამ მხრივ საქმე შესამჩნევად წინ წავიდა, ორგანიზება შეუდარებლად მაღალია. რამდენადაც სადღეისოდ ცნობილია, პეკინში ბევრი არ ჩავარდნილა, მაგრამ მე მოვუწოდებ შესაბამის უწყებებს, რომ ოლიმპიადაზე შემოწმებულებს კიდევ ერთხელ, ასე ვთქვათ, რიგგარეშედ ჩაუტარონ ტესტი. შეიძლება, ზოგიერთი ამ ტესტებზე ჩავარდეს. თითებს ვიჯვარედინებ, რომ მათ შორის არ აღმოჩნდნენ ჩემი თანამემამულეები. მაგრამ გამიგეთ, მე მინდა, რომ დოპინგთან ბრძოლა კიდევ უფრო ინტენსიური გახდეს. 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადისთვის სპორტი სრულიად უნდა გაიწმინდოს აკრძალული პრეპარატებისგან".

მოკლედ, ჩამბერსმა მონანიებული კაცის შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა, ეტყობა, გულმა ვერ მოუთმინა და სინანულით თქვა, პეკინში რომ წავეყვანე, ჩემსას ვიზამდიო.

„ბრიტანელ სპრინტერთაგან ვერავინ მოხვდა 100 მეტრის ფინალში და ესტაფეტაშიც ის შედეგი ვერ მივიღეთ, რასაც ველოდით. მე შემეძლო, ფინალში მოვხვედრილიყავი და ამაზე ფიქრი მოსვენებას მიკარგავს".

მაგრამ ჩამბერსი ამ ყოველივეს შემდეგ თავს ჩამოწერილად მაინც არ თვლის — მე კიდევ ვირბენ და მთელ ჩემს დაკონსერვებულ ენერგიას მომავალი სეზონისკენ მივმართავ, როცა მსოფლიოს რეკორდსმენ უსაინ ბოლტს შევეჯიბრებიო.

„წლების წინ მე მასთან ერთად ვვარჯიშობდი და მაშინაც სწრაფად დარბოდა, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, ასეთ შედეგებს თუ აჩვენებდა?"

იქნებ მთელი მსოფლიოს მსგავსად, ჩამბერსიც ფიქრობს, რომ 22 წლის იამაიკელი ბიჭის რეაქტიულობა დოპინგის შედეგია? იქნებ ამიტომ ითხოვს რიგგარეშე, მოულოდნელ შემოწმებებს, რომ სხვათა არაკეთილსინდისიერებაში ეჭვი ეპარება? რას გაუგებ...

**ირაკლი ფირაშვილი**



# მიშელ კვანის ფიქრები: მალე პოლიტიკოსი ვიქნები

**მიშელ კვანი**, ამერიკის ყოფილი პრიმა მოციგურავე, აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ საკუთარი შესაძლებლობების პოლიტიკაში მოსინჯვაზე დაფიქრდა. ახლა ის 28 წლისაა და პრაქტიკულად აღარ გადის ყინულზე, მაგრამ სპორტული სიბერით არცთუ უკმაყოფილო ჩანს.

„აგვისტოში პეკინში გახლდით და პრეზიდენტის გარემოცვაში დავესწარი ოლიმპიურ თამაშებს — ამბობს კვანი — პირველად ვიყავი ოლიმპიადაზე მაყურებლის რანგში და მინდა გითხრათ, რომ ძალზე ამაღელვებელი განცდები დამეუფლა. აქტიურად ვუჭერდი მხარს ჩვენს ტანმოვარჯიშეებს, დავესწარი წყალბურთის და კალათბურთის მატჩებს. მოკლედ, ავისრულე ის საწადელი, რის ასრულებასაც ვერ ვახერხებდი სპორტსმენობისას. ამ ყველაფერმა ძალზე დადებითი ემოციებით დამმუხტა.



დღესდღეობით იშვიათად ვციგურაობ, დროის დიდი ნაწილი სწავლაზე მიმდის — დენვერის უნივერსიტეტის სტუდენტი გახლავართ და სულ მალე პოლიტიკურ მეცნიერებათა ბაკალავრი გავხდები. ძალიან მომწონს უნივერსიტეტი და ხარისხის მიღების შემდეგაც გავაგრძელებ სწავლას. მომავალში შესაძლოა პოლიტიკოსი გავხდე, თუ არა და დავბრუნდები ფიგურალ სრიალში სულ სხვა სტატუსით".



# როჯერმა პიტს ფულით აჯობა

**კაცები**

მადრიდი. ესპანეთი. ჰარდი
საპრიზო 2 270 000 ევრო

**მეორე წრე**

**სტანისლას ვავრინკა** (10, შვეიცარია) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 3:6 7:5 7:6; **ფელიჩიანო ლოპესი** (ესპანეთი) — დავიდ ფერერი (6, ესპანეთი) 6:4 7:6; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 6:7 7:6 3:1 (უარი); **ენდი როდიკი** (აშშ) — ტომი რობრედო (ესპანეთი) 6:3 6:4; **ხუან მარტინ დელ პოტრო** (9, არგენტინა) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 6:2 4:2 (უარი); **როჯერ ფედერერი** (2, შვეიცარია) — რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) 6:4 7:6

**მესამე წრე**

**ჟილ სიმონი** (საფრანგეთი) — რობი ჯინეპრი (აშშ) 6:7 6:4 7:6

**ქალები**

ციურიხი. შვეიცარია. ჰარდი
საპრიზო 600 000 დოლარი

**პირველი წრე**

**სოფია არვიდსონი** (შვედეთი) — სიბილ ბამერი (ავსტრია) 0:6 7:5 6:4; **კატარინა სრებოტნიკი** (სლოვენია) — ტიმეა ბაჩინსკი (შვეიცარია) 6:3 6:3

**მეორე წრე**

**ვინუს უილიამსი** (3, აშშ) — ალიონა ბონდარენკო (უკრაინა) 6:3 6:4; **ფრანჩესკა შიავონე** (იტალია) — მარია კირილენკო (რუსეთი) 6:3 7:5

თითქმის ერთთვიანი უქმობის შემდეგ კორტზე გამოჩენილი როჯერ ფედერერი მშვენივრად გამოიყურებოდა. ეტყობა, შვეიცარიელს დასვენება წაადგა, რადგანაც მადრიდულ ჰარდზე ფეხმარდად მოძრაობდა, მაღალ რიტმში ჩოგნაობდა და მეტოქის დარტყმულებსაც დროულად უსწრებდა ხოლმე.

მეტოქედ კი დიად ალპელს რადეკ შტეპანეკი ჰყავდა, გამოცდილი ჩეხი, რომელმაც სული და გული ჩადო „მხაირული როჯერის" წასაქცევად. თანაც ჩეხს წლეულს უკვე მოეხერხებინა ფედერერის დამარცხება, რაც რომის მასტერსზე მოხდა, და ამიტომ ახლა დიდ გულზე იყო. თუმცა შვეიცარიელი დღეისთვის იმაზე გაცილებით უკეთეს ფორმაშია, ვიდრე გაზაფხულზე იყო. პლუს როჯერს ძველებური თვითრწმენაც დაუბრუნდა, რის პირობებშიც მასთან თამაში მეჩოგნეთა უმრავლესობისთვის ისევ დიდ პრობლემად იქცა.

„ვგონებ არცთუ ცუდად ვითამაშე. ხანგრძლივი უქმობის შემდეგ ცოტა ეჭვი მეპარებოდა, რომ რიტმს მალევე ვიპოვიდი, მაგრამ ამის პრობლემა არ მქონია. ვფიქრობ მოწოდების დროსაც ნორმალურად გამოვიყურებოდი. მოკლედ, ამაზე კარგ სტარტს ძნელად ვინატრებდი" — პოზიტიურ განწყობაზე გახლდათ შვეიცარიელი.

სხვათა შორის, ამ მოგების შემდეგ ალპელმა კარიერაში გამომუშავებული თანხის რაოდენობით პიტ სამპრასს გადაასწრო. მესამე წრეში გასვლით ფედერერმა 24 200 ევრო (32 428 დოლარი) დაისაკუთრა, რის შემდეგაც კარიერის მონაგარმა 43 300 847 დოლარი შეადგინა. ამერიკელმა კი თავის ხანგრძლივ კარიერაში 43 280 489 დოლარი გამოიმუშავა.

შემდეგ წრეში შვეიცარიელს ჟოვილფრედ ცონგასთან შეხვედრა ელის, რაც საკმაოდ საინტერესო ბრძოლას გვპირდება, რადგანაც ფრანგი ახლა ხეირიან ფორმაშია.

სხვა მატჩებიდან დაჭიდ ფერერის წაგებაა გამოსაყოფი. ნიკოლაი დავიდენკოსი არ იყოს, ესპანელი მადრიდში წლის შემაჯამებელ ტურნირზე ადგილის განაღდებას უმიზნებდა, მაგრამ ამ წაგებით საქმე გვარიანად გაირთულა. მარცხი კი ფერერს თანამემამულე ფელიჩიანო ლოპესმა აგემა.

ესპანელებმა კიდევ ერთი დანაკარგი ტომი რობრედოს სახით ნახეს, რომელიც ენდი როდიკისგან მიიჩოგნა. უკვე ვწერდით, რომ რობრედო ამ შეხვედრას იმედიანად ხვდებოდა — აქამდე ამერიკელთან 8-დან ამდენივე დაპირისპირება წაეგო და ნავსის გატეხვას საკუთარი ტრიბუნების წინ იმედოვნებდა. მაგრამ იანკი სულ სხვა განწყობაზე იყო და პირინეელიც სასტიკად დაბომბა საკუთარი ყუმბარმტყორცნიდან. ახლა ენდი-ბიჭი ეცდება კარიერაში პირველად უწიოს მადრიდის მეოთხედფინალს, ხოლო თუ გაუმართლა და ფინალმდეც მივიდა, მაშინ რეიტინგში წინ წაიწევს და დავიდენკოს ადგილს გაუცვლის.

გვარიანად იწვალა ნოვაკ ჯოკოვიჩმა, რაც საკმაოდ მოულოდნელი გახლდათ — ვიქტორ ჰანესკუს სახით სერბი ხომ კლასით გაცილებით დაბალ მეტოქეს ხვდებოდა. მაგრამ რუმინელმა არაფერი დაუთმო მსოფლიოს მესამე ნომერს და საკუთარ მოწოდებაზე ძალიან დამაჯერებელი თამაშით უკომპრომისო ჯახი გააჩაღა. ეგ კი არა, ჰანესკუმ ჯოკოვიჩს პირველი სეტი ტაიბრეიკზე აართვა. მეორეშიც ძალიან თანაბარი ჩოგბურთი გაჩაღდა, თან სერბი მუდმივად იძულებული იყო მეტოქეს დაწეოდა და ამიტომ ეს შეხვედრა ნოვაკისთვის ნერვების თამაშად იქცა. თუმც ჯოკოვიჩმა ამ ზეწოლას გაუძლო და მეორე საჩოგბურთო ლატარია უკვე სათავისოდ დაიტოვა. ეტყობა, რუმინელს აქ ძალები საბოლოოდ გამოელია, რადგანაც ჯერ გადამწყვეტი სეტის დასაწყისში ბრეიკი გააკეთებინა მეტოქეს, შემდეგ კი თეთრი დროშაც გამოფინა და შეხვედრის ჩამთავრება ვეღარ მოახერხა.

უნდა გამოიყოს ხუან მარტინ დელ პოტროს მოგებაც — არგენტინელი თინეიჯერი სერიოზულად არის დაგეშილი წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოსახვედრად და არაფერს იშურებს შანხაის ბილეთის მოსაპოვებლად. საამისოდ დელ პოტროს ერთ-ერთი გამდაწყვეტი ჯახი წინ აქვს, რადგანაც მესამე წრეში თავის ერთ-ერთ უმთავრეს კონკურენტ დავიდ ნალბანდიანს ხვდება და თუ იმარჯვა, თანამემამულეს საბოლოოდ ჩამოიცილებს გზიდან.

ნაკლებად საინტერესო ამბები მოხდა ციურიხში მიმდინარე ქალთა ტურნირზე. უმთავრესი კი უეჭველად ვინუს უილიამსის გამარჯვება გახლდათ, რომელიც აგნეშკა რადვანსკათან წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოხვედრისთვის იბრძვის. ისე, ჯერ კიდევ ორი კვირის წინ ამერიკელს ასეთი საზრუნავი არ ჰქონდა, მაგრამ კრემლის თასზე პირველივე წრეში წაგებამ გვარიანად უკან დაწია და ახლა ამის ანაზღაურება მოუწევს.

**კახა ლომაშვილი**

სნუკერი

დიდი პრიზი. გლაზგო. შოტლანდია. 11-19 ოქტომბერი

# ტრამპის ახალი ტრამპლინი




**19 წლის** ჯად ტრამპმა პირველად უწია სარეიტინგო ტურნირის მეოთხედფინალს. საამისოდ ინგლისელ თინეიჯერს თავისი გამოცდილი თანამემამულის, 34 წლის ჯო პერის დამარცხება დასჭირდა.

კარგა ხანია, ტრამპი სნუკერის ამომავალ ვარსკვლავად ითვლება. სხვა თუ არაფერი, ჯადმა 14 წლის ასაკში გააკეთა მაქსიმალური, 147-ქულიანი ბრეიკი და ამ მაჩვენებლით თვით რონი ოსალივანს წაართვა აბსოლუტური რეკორდი. 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ტრამპმა 17 წლის ასაკში გაალწია ძირითად ბადეში და სტივ ჰენდრისა და იმავე ოსალივანის შემდეგ მესამე მოთამაშე გახდა, ამ ასაკში უმთავრეს ტურნირზე რომ მოხვედრილა.

გლაზგოში ჯადს გაუმართლა — პირველ მეტოქედ გრემ დოტი ერგო, ვინც ტრავმის გამო ვერ შეძლო მაგიდასთან გასვლა და ჭაბუკმა ინგლისელმა მეორე წრეს უბრძოლველად უწია. აი, იქ კი მას პერი ელოდა და ვერავინ იტყვის, ტრამპმა შემთხვევით მოიგოო. საკმაოდ ნერვიული და ტაქტიკური ბრძოლა წაიღა, რომელშიც არ იყო გრძელი სერიები და 19 წლის ბიჭმა სწორედ რომ ტაქტიკურ თამაშში აჯობა გამოცდილ მეტოქეს — 5:2 და ტრამპი მეოთხედფინალშია.

ეს ანგარიში, ანუ 5:2, ყველაზე პოპულარული იყო ოთხშაბათს. მეორე წრის ოთხი დაპირისპირებიდან სამი, სწორედ ასე დასრულდა. მათ შორის იყო დღის ცენტრალური მატჩი ორ შოტლანდიელს, სტივ ჰენდრისა და ჯონ ჰიგინსს შორის, რომელთაც ჯამში ცხრაჯერ აქვთ მოპოვებული მსოფლიოს ჩემპიონობა. უფრო ახალგაზრდამ, ორგზის ჩემპიონმა ჰიგინსმა საკმაოდ იოლად აჯობა დიდ ვეტერანს. თანაც ჰიგინსმა დიდებული, 127-ქულიანი სერიაც გამოაცხო და ეს მის კარიერაში 379-ე ასქულიანი ბრეიკი გახლავთ.

5:2 მოიგო ჩინელმა დინ ჯინხუმაც, რომელმაც ინგლისელი მაიკლ ჰოლტი დაჩაგრა. აი, ინგლისელების, სტივ დევისისა და ადრიან განელის შეხვედრა სულ ბოლომდე გაგრძელდა. ექვსგზის ჩემპიონმა სუპერვეტერანმა გადამწყვეტ ფრეიმში გატეხა ნაკლებად ცნობილი თანამემამულის წინააღმდეგობა — 5:4 დევისის სასარგებლოდ.

ჰოკეი

NHL

## რეგულარული ჩემპიონატი

15 ოქტომბერი

**რეინჯერსი 1:3 ბუფალო**
*1:0 0:2 0:1*
1:0 გომესი (7), 1:1 კოტალიკი (26), 1:2 ვანეკი (33), 1:3 ვანეკი (42)

**მონრეალი 4:3 ბოსტონი**
*3:0 0:1 0:2 0:0 (1:0 ბულიტებით)*
1:0 კოვალიოვი (16), 2:0 კოივუ (17), 3:0 ლაპიერი (10), 3:1 კრეიჩი (298), 3:2 სავარი (48), 3:3 სავარი (60)

**დალასი 6:4 ნეშვილი**
*1:0 3:3 2:1*
1:0 რობიდა (20), 2:0 მოდანო (21), 3:1 ბონკი (24), 2:2 ჩერნკვისტი (30), 3:2 ბრენსტრომი (432), 3:3 ჯონსი (34), 4:3 ბრენსტრომი (45), 4:4 ერატი (51), 5:4 ბრენსტრომი (57), 6:4 მოდანო (60)

**ჩიკაგო 4:1 ფინიქსი**
*0:0 2:1 2:0*
0:1 მიულერი (25), 1:1 ჰავლატი (32), 2:1 შარპი (40), 3:1 ფრეზერი (42), 4:1 კემბპელი (53)

**ანაჰაიმი 2:3 ედმონტონი**
*1:1 1:1 0:1*
0:1 ჰორკოფი (5), 1:1 ჰესკინსი (7), 2:1 რ. ნიდერმაიერი (25), 2:2 სურეი (39), 2:3 ვიშნევსკი(43)

# ბრენსტრომის სუპერდებიუტი



**ნჰლ-ის** რეგულარული ჩემპიონატი ჯერ ხეირიანად არ გახურებულა და ერთი ალსანიშნავი ამბავი უკვე მოხდა — „დალასისა“ და „ნეშვილის“ მატჩში, რომელიც მასპინძლებმა 6:4 მოიგეს, მათმა შვედმა ახალბედა ფაბიან ბრენსტრომმა სამი შაიბა გაიტანა და გახდა ლიგის ისტორიაში ოდენ მესამე მოთამაშე, რომელმაც სადებიუტო შეხვედრაში ჰეთ-თრიკის გაკეთება შეძლო.

შორეული 1943 წლის 14 იანვარს მსგავსი რამ „მონრეალის“ ფორვარდმა ალექს სმარტმა მოახერხა, 1979 წლის 10 ოქტომბერს კი იგივე „კვებეკის“ რეალ კლოტიემაც გააკეთა.

„უბრალოდ მინდა, რომ ჰოკეი ვითამაშო და ამ გუნდის ნაწილი ვიყო. „დალასში“ ბევრი კარგი ჰოკეისტია, ასე რომ, ძირითად შემადგენლობაში ადგილის მოსაპოვებლად დიდი შრომაა საჭირო. მატჩის პირველივე წუთებიდან თავს კომფორტულად ვგრძნობდი, თუმცა მთავარი ის გახლავთ, რომ შეხვედრა „დალასმა“ მოიგო“ — განაცხადა იღბლიანმა დებიუტანტმა.

ჭადრაკი

# ანანდმა კრამნიკი მეფით გააკვირვა

**ინდოელი** ვიშვანათან ანანდისა და რუსი ვლადიმირ კრამნიკის ბონში მიმდინარე სატიტულო მატჩის მეორე პარტიაც ყაიმით დასრულდა. ამ ჯერზე თეთრებით ანანდი თამაშობდა და მეტოქეები 32-ე სვლაზე დაზავდნენ.

„ანანდი ისეთი ტიპის მოჭადრაკეა, რომელიც მუდმივად ცეცხლს ეთამაშება — განაცხადა კრამნიკმა პარტიის დასრულების შემდეგ — ამჯერადაც ასე იყო, თავისი მეფე სადღაც წაიყვანა. ამის მიუხედავად, საკმაოდ რთული პოზიცია შეიქმნა და იძულებული გავხდი, ფრეზე მეთამაშა. ინიციატივის წართმევა ვერ მოვახერხე და ბოლოს იძულებული ვიყავი, თავი დამეცვა“.

„სამატჩო შეხვედრებისას პირველი ორი პარტია ერთგვარად მოსათელია, მეტოქეები თითქოს ზვერავენ ერთმანეთს, ახლაც ასე მოხდა. ჩვენ ცოტა გავხურდით და მეორე პარტია უფრო დაძაბული გამოვიდა. ყველაფერი ნორმაშია. აქ ისეა, როგორც მძიმეწონოსან მოკრივეთა ორთაბრძოლისას — საწყის რაუნდებში ისინი, უბრალოდ, ჩხვლეტენ ერთმანეთს და სერიოზულ დარტყმებზე მერელა გადადიან. შემდეგ პარტიებში, უკვე სერიოზული ბრძოლა წავა და დაძაბულობა მუდმივად მოიმატებს“ — ესეც კრამნიკის სიტყვებია და ამ სიტყვებს, ალბათ, უნდა დავეთანხმოთ.

თუმცა, ცოტა სხვანაირად ფიქრობს ცნობილი სომეხი დიდოსტატი ლევონ არონიანი, ვისი აზრითაც, მეორე პარტიაში კრამნიკი გადარჩა და ანანდი ახლო იყო გამარჯვებასთან. „საოცარი პარტია იყო. ანანდი ბონში მოსაგებადაა ჩასული და ის არც რისკზე წასვლას ერიდება. ამ პარტიაში მან ის დებიუტი გამოიყენა, რომელსაც ადრე არ მიმართავდა და ახლოსაც იყო გამარჯვებასთან. ანანდს მეტოქის გაკვირვება სურდა და ამან გაამართლა. რაღაც მომენტში კრამნიკის პოზიცია მეტად უსიამოვნო გახდა, მაგრამ მან შეძლო თავის დაღწევა და სასურველ ყაიმს უწია“ — განაცხადა არონიანმა.


ვიშვანათან ანანდი

ავტორბოლა

# მანი კური მოდაში აღარ არის

## საფრანგეთმა დიდი პრიზი იშარა

**2009 წლის** საპირველფორმულო ჩემპიონატის თავდაპირველ წინასწარ კალენდარში 19 ეტაპი იყო, მაგრამ მოგვიანებით FIA-ს (ავტომრბოლთა საერთაშორისო ფედერაცია) გადაწყვეტილებით, კალენდრიდან მონრეალში გასამართი კანადის დიდი პრიზი ამოიღეს და კალენდარი 18 ეტაპამდე შეიკვეცა. და აი, ცნობილი გახდა, რომ საგაისო ჩემპიონატი, სულაც 17-ეტაპა იქნება, რადგანაც საფრანგეთის ავტო და მოტოსპორტის ფედერაციის (FFSA) დირექტორთა საბჭომ გადაწყვიტა, უარი თქვას გაისად 26-28 ივნისს გასამართ საფრანგეთის დიდ პრიზზე.

როგორც FFSA-ს პრეზიდენტმა ნიკოლა დეშომ განაცხადა, ამის მიზეზი ფინანსებია, ანუ ის, რომ დედაქალაქიდან მოშორებულ და მოძველებულ „მანი-კურის“ ავტოდრომზე დიდი პრიზის ჩატარება არარენტაბელური გახდა და ეკონომისტთა გათვლებით, თუ FFSA მაინც უმასპინძლებდა „სამეფო რბოლებს“, გვარიან წაგებას ნახავდა.

არადა, საფრანგეთის დიდი პრიზი უძველესია და პირველი რბოლა ფორმულა 1-ის გაჩენამდე კარგა ხნით ადრე, 102 წლის წინ გაიმართა.

ის, რომ „მანი-კურის“ ტრასა თანამედროვე მოთხოვნებს ველარ აკმაყოფილებდა და ფრანგ ქომაგებში აღარ სარგებლობდა სიყვარულით, ფორმულა 1-ის ფაქტობრივი მეპატრონის, ბერნი ეკლსტოუნისთვის კარგა ხანია, ცნობილი იყო და ის დაჟინებით ითხოვდა ფრანგული ეტაპისთვის მისამართის შეცვლას. მაგალითად, ეკლსტოუნის აზრით, უპრიანი იქნებოდა, თუ ეტაპს პარიზის სიახლოვეს, ფრანგული დისნეილენდის ტერიტორიაზე გადაიტანდნენ.

ეს მართლაც შეიძლება ასე მოხდეს, ოღონდაც, უკვე 2010 წელს. მომავალი სეზონი კი საფრანგეთის დიდი პრიზის გარეშე ჩაივლის და სეზონიც 17-ეტაპიანი იქნება.

**კახა ლომაძე**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ჭოჭხველია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორჩილავა
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვიტაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge